



შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

1

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	8
2. მომზადების საფუძველი	8
3. ახალი და შესწორებული ფასს-ის მიღება	8
4. საადრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	11
5. მნიშვნელოვანი საადრიცხვო შეფასებები და დაშვებები	16
6. ფული და ფულადი ეკვივალენტები	17
7. გაცემული სესხები	17
8. ძირითადი საშუალებები	20
9. არამატერიალური აქტივები	21
10. გადასახადები	21
11. სხვა აქტივები	23
12. მიღებული სესხები	23
13. კაპიტალი	24
14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	25
15. სესხის გაუფასურების ზარალი	25
16. შემოსავალი ჯარიმების სახით	26
17. სხვა შემოსავალი	26
18. პერსონალის ხარჯი	26
19. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	26
20. რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები	27
21. პოტენციური ვალდებულებები	36
22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	36
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	37
24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება	37



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email: auditprofesional@gmail.com
www.audit.ge

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ პარტნიორს და ხელმძღვანელობას

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს მისო „კრედიტ სერვისის“ ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის, მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს მისო „კრედიტ სერვისის“ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისათვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს მისო „კრედიტ სერვისის“-საგან, რაც გულისხმობს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსთან“ შესაბამისობას. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის საქმიანობის მიმოხილვას, რომელიც შეტანილია შპს მისო „კრედიტ სერვისის“ 2018 წლის მმართველობით ანგარიშგებაში, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორულ დასკვნას.

ფინანსურ ანგარიშგებაზე გამოხატული ჩვენი მოსაზრება არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ მმართველობით ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა ის არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება.

სხვა ინფორმაციასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email: auditprofesional@gmail.com
www.audit.ge

ხელმძღვანელობისა და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს შპს მისო „კრედიტ სერვისის“ ფუნქციონირებადობის უნარი და აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია შპს მისო „კრედიტ სერვისის“ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს მისო „კრედიტ სერვისის“ შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს მისო „კრედიტ სერვისის“ ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email: auditprofesional@gmail.com
www.audit.ge

არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მისო „კრედიტ სერვისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს მისო „კრედიტ სერვისი“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობითი ანგარიში, კერძოდ – საქმიანობის მიმოხილვა, „ბუღალტრული აღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემების არსებობა, რომელიც მისი აზრით აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მსამზადადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენი აზრით 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

თამაზ სიქტურაშვილი

შპს „აუდიტ - პროფესიონალის“ სახელით

ქუთაისი, საქართველო

08 აგვისტო 2019 წელი



აუდიტ-პროფესიონალი
Audit-Professional

საქართველო, ქუთაისი 4602
წმინდა ნინოს ქუჩა 21
საიდ. კოდი - 212816032
ტელ: +995 (431) 253545
Email: auditprofesional@gmail.com
www.audit.ge

არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს მისო „კრედიტ სერვისი“ უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- მთლიანობაში ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებითი შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

შპს მისო „კრედიტ სერვისის“ სამეთვალყურეო საბჭოს და დირექტორს, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ანგარიში სხვა სამართლებრივი და მარეგულირებელი მოთხოვნების შესახებ

ხელმძღვანელობა მოვალეა, მოამზადოს მმართველობითი ანგარიში, კერძოდ – საქმიანობის მიმოხილვა, „ბუღალტრული აღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად და უზრუნველყოს იმგვარი შიდა კონტროლის სისტემების არსებობა, რომელიც მისი აზრით აუცილებელია ისეთი მმართველობის ანგარიშის მსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობებს.

ჩვენი აზრით 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის მმართველობის ანგარიში ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია ბუღალტრული აღიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

თამაზ სიქტურაშვილი

შპს „აუდიტ - პროფესიონალის“ სახელით

ქუთაისი, საქართველო

08 აგვისტო 2019 წელი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
 (ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	25 876	34 319
გაცემული სესხები	7	1 595 453	2 053 478
ძირითადი საშუალებები	8	21 732	23 663
არამატერიალური აქტივი	9	35 777	39 790
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	3 560	64 867
საგადასახადო აქტივი		16 903	-
სხვა აქტივები	11	16 223	23 820
სულ აქტივები		1 715 524	2 239 938
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	836 831	1 789 041
საგადასახადო ვალდებულება		-	1 073
სულ ვალდებულებები		836 831	1 790 114
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 000 000	301 000
საერთო რეზერვი		113 038	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(234 345)	148 824
სულ საკუთარი კაპიტალი	13	878 693	449 824
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 715 524	2 239 938

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს

კახა დარსანია
 დირექტორი



ქეთევან თოდუა
 ბუღალტერი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
აქტივები			
ფული და ფულადი ეკვივალენტები	6	25 876	34 319
გაცემული სესხები	7	1 595 453	2 053 478
ძირითადი საშუალებები	8	21 732	23 663
არამატერიალური აქტივი	9	35 777	39 790
გადავადებული საგადასახადო აქტივი	10	3 560	64 867
საგადასახადო აქტივი		16 903	-
სხვა აქტივები	11	16 223	23 820
სულ აქტივები		1 715 524	2 239 938
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	12	836 831	1 789 041
საგადასახადო ვალდებულება		-	1 073
სულ ვალდებულებები		836 831	1 790 114
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		1 000 000	301 000
საერთო რეზერვი		113 038	-
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		(234 345)	148 824
სულ საკუთარი კაპიტალი	13	878 693	449 824
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1 715 524	2 239 938

დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს

კახა დარსანია
დირექტორი

ქეთევან თოდუა
ბუღალტერი

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	შენიშვნა	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი		787 842	1 006 115
საპროცენტო ხარჯი		(110 466)	(113 716)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	14	677 376	892 399
სესხის გაუფასურების ზარალი	15	(449 482)	(477 235)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების ზარალის შემდეგ		227 894	415 164
შემოსავალი ჯარიმების სახით	16	44 184	71 038
სხვა შემოსავალი	17	45 512	97 291
პერსონალის ხარჯი	18	(346 614)	(369 400)
საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	19	(74 329)	(71 463)
სხვა არასაოპერაციო ხარჯები		(11)	(201)
კურსთა შორის სხვაობის წმინდა მოგება		168	481
მოგება გადასახადამდე		(103 196)	142 910
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(132 212)	(108 398)
წლის მოგება/(ზარალი)		(235 408)	34 512

8-37 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	მფლობელთა კაპიტალი	საერთო რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	274 312	575 312
წლის მოგება	-	-	34 512	34 512
გადახდილი დივიდენდები	-	-	(160 000)	(160 000)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერს	301 000	-	148 824	449 824
ფასს 9-ის გამოყენების გავლენა (შენიშვნა 3)	-		1 063	1 063
2018 წლის 01 იანვრის ნაშთი ფასს 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული	301 000	-	149 887	450 887
საწესდებო კაპიტალის გაზრდა	699 000	-	-	699 000
საერთო რეზერვის გაზრდა	-	113 038	-	113 038
წლის ზარალი	-	-	(235 408)	(235 408)
გადახდილი დივიდენდები	-	-	(148 824)	(148 824)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერს	1 000 000	113 038	(234 345)	878 693

8-37 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტი	830 281	929 708
კლიენტებზე გაცემული სესხები	3 117 536	3 538 927
მიღებული ჯარიმები	54 523	46 403
მიღებული საკომისიოები	45 332	94 535
გადახდილი პროცენტები	(99 413)	(100 867)
კლიენტებზე გაცემული სესხები	(3 148 400)	(3 868 250)
თანამშრომლებზე გადახდილი ფულადი სახსრები	(277 891)	(296 120)
გადახდილი ადმინისტრაციული ხარჯები	(58 439)	(54 927)
სხვა შემოსავალი	12 566	14 225
სხვა გასავალი	(19 251)	(20 252)
გადახდილი გადასახადები (მოგების გადასახადის გარდა)	(108 090)	(96 506)
გადახდილი მოგების გადასახადი	(78 000)	(86 000)
საოპერაციო საქმიანობაში შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	270 754	100 876
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა	(5 309)	(5 251)
არამატერიალური აქტივის შეძენა	-	(40 124)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	(5 309)	(45 375)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		
სესხის მიღება	20 550	360 000
სესხების დაფარვა	(173 591)	(259 595)
გადახდილი დივიდენდები	(120 995)	(160 000)
საფინანსო საქმიანობიდან შემოსული (გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები	(274 036)	(59 595)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების წმინდა კლება	(8 591)	(4 094)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალ.	148	(744)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისისათვის	34 319	39 157
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასასრულისათვის	25 876	34 319

8-37 გველებზე დართული განმარტებითი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს მისო „კრედიტ სერვისი“ (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში. რეგისტრირებულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის შესაბამისად, ჩართულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში და აყვანილია საგადასახადო აღრიცხვაზე 11.12.2007 წ. კომპანიის იურიდიული მისამართია, 2100 ქ. ზუგდიდი, აღმაშენებლის ქ. #84.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს მისო „კრედიტ სერვისი“-ს კაპიტალის 100%-ის მფლობელი პარტნიორი არის არაკომერციული ორგანიზაცია: **აპკ „ნდობის კავშირი“**.

კომპანიის უმაღლესი მმართველობითი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის საქმიანობის ზედამხედველობას ანხორციელებს სამეთვალყურეო საბჭო, რომლის წევრებსაც ნიშნავს პარტნიორთა საერთო კრება. კომპანიის ყოველდღიურ საქმიანობას ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ.

კომპანიის მიზანია, ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა. კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: არაუზრუნველყოფილ ინდივიდუალურ სესხებს: აგრო, სამომხმარებლო და ბიზნეს სექტორზე.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

2. მომზადების საფუძველი

(ა) ანგარიშგების შესაბამისობა, შეფასების საფუძველი და საქმიანობის უწყვეტობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში „ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია კომპანიისათვის.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს. ფინანსური ანგარიშგება შედგენილია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ბ) მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის მოქმედი ვალუტა არის ეროვნული ვალუტა „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს. მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის წარსადგენ ვალუტად კომპანია იყენებს ეროვნულ ვალუტას ლარს.

ანგარიშგებაში რიცხობრივი მონაცემები ასხულია ერთეულამდე სიზუსტით.

3. ახალი და შესწორებული ფასს-ის მიღება

(ა) ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში

კომპანიამ საანგარიშგებო პერიოდში პირველად გამიყენა ფასს (IFRS) 15 „შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ და ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“, რომლებმაც გამოიწვია სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება. ამ ცვლილების საფუძველზეა მომზადებული 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება.

(ა.1) ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“

2018 წლის 1 იანვრიდან ფასს (IFRS) 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ ჩაანაცვლა ბასს (IAS) 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“. კომპანიამ აირჩია ფასს 9-ის განთავისუფლება, არ შეეცვალა შესაღარიპის პერიოდი, საწყისი აღიარებისას. ამდენად არ გადაუანგარიშებია 2017 წლის შესაღარიპის

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ინფორმაცია ფასს 9-ის მოქმედების არიალში მოქცეული ფინანსური ინსტრუმენტებისათვის. ამიტომ 2017 წლის შესადარისი ინფორმაცია მომზადებულია ბასს 39-ის მიხედვით და არ ედრება 2018 წლისთვის წარმოდგენილ ინფორმაციას. ფასს 9-ის მიღების შედეგად წარმომოხილი სხვაობები პირდაპირ გაუნაწილებელ მოგებაშია აღიარებული 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით:

ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოიცავს ფინანსური აქტივების კლასიფიკაციის სამ მნიშვნელოვან კატეგორიას, შემდგომში:

- ✓ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული;
- ✓ რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით;
- ✓ რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

სტანდარტი აუქმებს ბასს 39 „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ კლასიფიკაციის შემდეგ კატეგორიებს:

- ✓ დაფარვის ვადამდე ფლობილი;
- ✓ სესხები და მოთხოვნები;
- ✓ გასაყიდად გამიზნული.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციისათვის ფასს 9 იყენებს ბასს 39-ის არსებული მოთხოვნების უმრავლესობას.

ფასს 9 ანაცვლებს „გაწეული ზარალის“ (CL) მოდელს ბასს 39-ში, „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელით. ფასს 9-ის თანახმად, საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება უფრო ადრე ვიდრე ბასს 39-ის შემთხვევაში.

რეზერვი ეყრდნობა მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, რომელიც უკავშირდება მომდევნო 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების შეუსრულებლობის ალბათობას, თუ სესხის გაცემის შემდეგ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა, ასევე ფინანსური აქტივი შეესაბამება შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივის განმარტებას, მაშინ რეზერვი დაეყრდნობა აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას. კომპანიის მიერ გამოყენებული გაუფასურების შეფასების მეთოდი განხილულია შენიშვნა 20 (რისკების მართვა).

ფასს 9-ის მიღების გავლენა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და გაუნაწილებელ მოგებაზე 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, მათ შორის ბასს 39-ის მიხედვით გაწეული საკრედიტო ზარალის გაანგარიშების ფასს 9-ის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით ჩანაცვლების შედეგი მოცემულია ქვედა ცხრილში:

	შეფასებითი კატეგორია ბასს 39-ის მიხედვით	შეფასებითი კატეგორია ფასს 9-ის მიხედვით	საბალანსო ღირ-ბა ბასს 39-ის მიხედვით	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს 9- ის მიხედვით	ახალი საბალანსო ღირ-ბა
აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირ-ბა	34 319	-	34 319
გაცემული სესხები	სესხები და მოთხოვნები	ამორტიზებული ღირ-ბა	2 053 478	1 063	2 054 541
სულ აქტივები			2 087 797	1 063	2 088 860
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	ამორტიზებული ღირ-ბა	ამორტიზებული ღირ-ბა	1 789 041	-	1 789 041
სულ ვალდებულებები			1 789 041	-	1 789 041

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ფასს 9-ზე გადასვლის გავლენა რეზერვებსა და გაუნაწილებელ მოგებაზე ასეთია:

	გაუნაწილებელი მოგება
ნაშთი ბასს 39-ის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით)	148 824
ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება	1 063
ფასს 9-ის მიხედვით გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი (2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)	149 887
ცვლილება კაპიტალში ფასს 9-ის მიღების შედეგად	1 063

ქვემოთ მოცემულ ცხრილში გაცემულ სესხებზე შესაძლო დანაკარგების რეზერვი საწყისი საერთო ნაშთი ბასს 39-ის მიხედვით შეჯერებულია ფასს 9-ის მიხედვით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვით.

	რეზერვი ბასს 39-ის მიხედვით 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	ხელახალი შეფასება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასს 9- ის მიხედვით 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით
ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული სესხები და მისაღები ანგარიშები	(112 754)	1 063	(111 691)
	(112 754)	1 063	(111 691)

(ა.2) ფასს 15 „შემოსავალი კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან“

2014 წლის მაისში გამოცემული და 2016 წლის აპრილში შეცვლილი ფასს 15 „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ განსაზღვრავს ხუთეტაპიან მოდელს, რომელიც გამოიყენება კლიენტებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან მიღებული შემოსავლების ასახვისთვის. ფასს 15-ის მიხედვით, შემოსავლების აღიარება მოხდება იმ ანაზღაურების ოდენობით, რომელსაც საწარმო მოელის კლიენტისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდების სანაცვლოდ. თუმცა, სტანდარტი არ ეხება ფინანსური ინსტრუმენტებთან და იჯარასთან დაკავშირებულ შემოსავალს და ამდენად არ ქონია მნიშვნელოვანი გავლენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, შესაბამისად გადასვლის თარიღისათვის კომპანიას არ გაუკეთებია რაიმე სახით კორექტირება.

(ბ) ახალი სტანდარტები, რომელიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული

(ბ.1) ფასს (IFRS) 16 „იჯარა“

2016 წლის იანვარში ბასსს-მა გამოსცა ახალი სტანდარტი იჯარის აღრიცხვისთვის - ფასს 16 „იჯარა“. ახალი სტანდარტით მნიშვნელოვნად არ იცვლება იჯარის აღრიცხვა მეიჯარეებისთვის. თუმცა, მოიჯარეებს იგი უმეტესწილად ავალდებულებს იჯარების თავიანთ ბალანსზე აღიარებას საიჯარო ვალდებულებების სახით, აქტივების შესაბამისი გამოყენების უფლებით. მოიჯარეებმა ყველა აღიარებული იჯარისთვის ერთიანი მოდელი უნდა გამოიყენონ, თუმცა მათ უფლება აქვთ არ აღიარონ „მოკლევადიანი“ იჯარები და იჯარები „დაბალი ღირებულების მქონე“ აქტივებით. ზოგადად, აღიარებულ იჯარაზე მოგების ან ზარალის აღიარების წესი დღეისათვის მოქმედი ფინანსური იჯარის აღრიცხვის წესის მსგავსი იქნება, საპროცენტო ხარჯი და საამორტიზაციო ანარიცხების აღიარება ცალკე მოხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფასს 16 ძალაში შედის 2019 წლის 1 იანვრიდან დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. ნებადართულია ვადაზე ადრე გამოყენება იმ შემთხვევაში, თუ შემოსავლის შესახებ ახალი სტანდარტის - ფასს 15-ის გამოყენებაც იმავე თარიღით მოხდება.

კომპანიას არ მიუღია ფასს 16 ვადაზე ადრე და ამ ეტაპზე აფასებს მის გავლენას.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

(ა) უცხოური ვალუტა

ფინანსური ოპერაციები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება ეროვნულ ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობები აღიარდება მოგება-ზარალში.

ფულად აქტივებსა და ვალდებულებებთან დაკავშირებული საკურსო სხვაობით გამოწვეული მოგება ან ზარალი არის პერიოდის დასაწყისში სამუშაო ვალუტაში განსაზღვრულ ამორტიზირებულ ღირებულებასა და პერიოდის ბოლოს არსებული გაცვლითი კურსით უცხოურ ვალუტაში კონვერტირებულ ამორტიზირებულ ღირებულებას შორის სხვაობა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოსათვის არსებული გაცვლითი კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მზადებისას:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ლარი / აშშ დოლარი	2.6766	2.5922
ლარი / ევრო	3.0701	3.1044

(ბ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიამ სააღრიცხვო პოლიტიკაში შეიტანა ცვლილება 2014 წლის ივლისში გამოშვებული ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიხედვით 2018 წლის 1 იანვრიდან - საწყისი აღიარების თარიღით. შესაბამისად დაკორექტირდა წინა პერიოდში აღიარებული თანხები, რომლის შედეგი აისახა 2018 წლის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად განმარტებითი შენიშვნებში ფასს 7-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: განმარტებითი შენიშვნები“ შესაბამისი შენიშვნები ასიახა 2018 წელზე, ხოლო შესადარისი იმფორმაცია, რომელიც ეხება 2017 წელს ასახულია ბასს 39-ის „ფინანსური ინსტრუმენტები: აღიარება და შეფასება“ მიხედვით განსაზღვრული პოლიტიკით და წარმოდგენილია წინა წლის ანგარიშგებაში.

თავდაპირველი აღიარება

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები აისახება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როდესაც იგი ხდება ხელშეკრულების მონაწილე მხარე.

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ინსტრუმენტები ფასდება იმ დანახარჯებით დაკორექტირებული რეალური ღირებულებებით, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური აქტივის შეძენასთან, ან ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან, იმ ფინანსური ინსტრუმენტების შემთხვევაში რომელიც შეფასებული არ არის რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კლასიფიკაცია და შემდგომი შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება შემდგომი კატეგორიებიდან ერთ-ერთად:

- ✓ შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული;
- ✓ შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI); და
- ✓ შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVTPL).

ფინანსური აქტივების შეფასება ამორტიზებული ღირებულებებით

ფინანსური აქტივები ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, თუ ერთდროულად კმაყოფილდება შემდგომი 2 გარემოება:

- ✓ კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ✓ ფინანსური აქტივების სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადს რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით

ფინანსური აქტივი ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში, თუ ის აკმაყოფილებს მომდევნო 2 პირობას და არ ექვემდებარება მოგებაში ან ზარალში რეალური ღირებულებით ასახული აქტივის პირობას:

- ✓ კომპანია აქტივს ფლობს ბიზნეს-მოდელით, რომლის მიზანსაც წარმოადგენს აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ან გასაყიდად; და
- ✓ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტულ თარიღებში წარმოშობს ფულად ნაკადებს, რომლებიც ერთპიროვნულად წარმოადგენს ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდას ძირითადი თანხის დარჩენილ ნაწილზე.

თავდაპირველი აღიარების შემდგომ ფინანსური აქტივები ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით და ექვემდებარება გაუფასურებას. აქტივის აღიარების შეწყვეტის, მოდიფიცირების ან გაუფასურების შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივების შეფასება რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით

ყველა ფინანსური აქტივი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული, ან რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით, უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანიის ყველა ფინანსურ აქტივი შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით.

ბიზნეს მოდელის შეფასება

ფასს 9-ის მიხედვით არსებობს 3 სახის ბიზნეს მოდელი:

- ✓ აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად: ამ ბიზნეს მოდელის მიზანია აქტივების ფლობა მათი არსებობის მანძილზე პროცენტის, ძირისა და სხვა დაკავშირებული ფულადი ნაკადების გენერირებისათვის;
- ✓ აქტივების ფლობა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად, ან და გასაყიდად: ეს ბიზნეს მოდელი წინას მსგავსია, იმ განსხვავებით, რომ ჯგუფმა შეიძლება გადაწყვიტოს მისი გაყიდვა ან ლიკვიდობის მიზნებისთვის ფლობა, სამან აქტივს ვადა დაუდგება.
- ✓ სხვა: ყველა ის მოდელი, რომელიც არ ხვდება ზემოთ მოცემული მოდელების კრიტერიუმში.

ბიზნეს მოდელის შეფასებისას კომპანიამ გაითვალისწინა: რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლები, რომ განესაზღვრა თუ როგორ იცვლებოდა ბიზნეს მოდელი და ფინანსური ინსტრუმენტი ამ ბიზნეს მოდელში.

მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა

იმის შეფასებისას, წარმოადგენენ თუ არა სახელშეკრულებლო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდას, კომპანია აფასებს ინსტრუმენტის სახელშეკრულებლო პირობებს.

სახელშეკრულებლო ფულადი ნაკადები, რომელიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და ძირითადი თანხის დაუფარავ ნაწილთან დაკავშირებული პროცენტის გადახდას, საბაზისო სასესხო შეტანხმების პირობების შესაბამისია. პროცენტი განისაზღვრება, როგორც ფულის რაოდენობითი ღირებულებისა და დარჩენილ ძირითადი თანხასთან დაკავშირებული საკრედიტო რისკის ანაზღაურება კონკრეტული პერიოდის განმავლობაში ის შეიძლება ასევე ითვალისწინებდეს სესხის გაცემასთან დაკავშირებული სხვა ძირითადი რისკების და დანახარჯების კონპესაციას, რაც დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდში ფინანსური აქტივის შენარჩუნებასთან ასევე საბაზრო სასესხო შეთანხმების პირობების შესაბამის მოგების მარჟასაც.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, სადაც შესაბამისია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან ანალოგიური ფინანსური ჯგუფის ნაწილის) აღიარება წყდება მაშინ, როდესაც:

- ✓ აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის;
- ✓ კომპანიამ დათმო ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებები, ან მიიღო ვალდებულება გადაიხადოს მიღებული ფული მთლიანად მესამე მხარის მიმართ;

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

- ✓ ან (ა) გადასცემს არსებითად ყველა რისკს და სარგებელს ან (ბ) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკსა და სარგებელს, მაგრამ გადასცემს კონკრეტულ აქტივზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურება, ცვლილება გაუფასურების შეფასებაში

ანარიცხებთან დაკავშირებით ბასს 39-ის მიდგომა „გაწეული ზარალი“ (CL), ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა და „მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის“ (ECL) მოდელით ჩაანაცვლა, იმ ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან შემდგომში რეალური ღირებულებით შეფასებული, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

ფასს 9-ის მიხედვით გაუფასურების შეფასების შესახებ იმფორმაცია მოცემულია შენიშვნა 20 (რისკების მართვა) და შენიშვნა 7 (გაცემული სესხები).

გაცემული სესხების რესტრუქტურირება

რესტრუქტურირების ოპერაცია სრულდება არსებული სასესხო ვალდებულებების ფარგლებში. კომპანიას და ამ მსესხებელს შორის ფორმდება შეთანხმება პირობების ცვლილების შესახებ და იმავე სესხისათვის ხდება ახალი გრაფიკის აგება.

კომპანიისათვის სესხის რესტრუქტურირაცია რისკის ცვლილებების მაჩვენებელია.

ფინანსური ვალდებულებები

ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით ფინანსური ვალდებულებები უნდა დაკლასიფიცირდეს, როგორც შემდეგი კატეგორიებიდან ერთ-ერთი:

- ✓ შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული; ან
- ✓ რეალური ღირებულებით შეფასებული, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით.

კომპანიამ შეაფასა რომელი ბიზნესის მოდელი იყო ყველაზე შესაბამისი მისთვის და 2018 წლის 1 იანვრისათვის ფასს 9-ის მიღების შემდეგ, ყველა ფინანსური ვალდებულება დაკლასიფიცირდა როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული.

კომპანიის შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ვალდებულებები მოიცავს სხვა ვალდებულებებს, მიღებულ სესხებსა და დეპოზიტებს. სხვა ფინანსური ვალდებულებები საწყისი აღიარებისას შეფასებულია რეალური ღირებულებით დამატებული გარიგების ის დანახარჯები, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია ფინანსური ვალდებულებების გამოშვებასთან. მსგავსი პროცენტის მატარებელი ვალდებულებები შემდგომში აღრიცხულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, რომელიც უზრუნველყოფს მუდმივი განაკვეთით ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე საპროცენტო ხარჯის დარიცხვას. ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებისათვის საპროცენტო ხარჯი მოიცავს საწყისი გარიგების ხარჯებს და ნებისმიერ დამატებით გადასახდელს ვალდებულების გამოსყიდვისათვის.

ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება, ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელობლად განსხვავებული პირობებით ან არსებული ვალდებულებების პირობები მნიშვნელობლად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

(ა) ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და საბანკო ანგარიშზე არსებული ფულად სახსრებს.

(ბ) არაფინანსური აქტივები

გადავადებული გადასახადების გარდა, კომპანიის სხვა არაფინანსური აქტივების შეფასება ხდება თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის იმის დასადგენად, არსებობს თუ არა გაუფასურების მაჩვენებელი.

არაფინანსური აქტივების ანაზღაურებადი ღირებულება არის ამ აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მაშინ, როცა აქტივის ან მისი ფულადი ნაკადის წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის ანაზღაურებად ღირებულებას.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებული გაუფასურების ყველა ზარალი აისახება მოგებაში ან ზარალში და კორექტირდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხდა ცვლილება ანაზღაურებადი ღირებულების განსაზღვრისას გამოყენებულ დაშვებებში. გაუფასურების ზარალი კორექტირდება მხოლოდ იმ ზღვრამდე, სანამ აქტივის საბალანსო ღირებულება არ მიაღწევს იმ ღირებულებას, ცვეთისა და ამორტიზაციის გათვალისწინებით, რაც ექნებოდა აქტივს, გაუფასურება რომ არ მომხდარიყო.

(ე) იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება, თუ მისი პირობები ითვალისწინებს მოიჯარისთვის არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემას. ყველა სხვა იჯარა ითვლება საოპერაციო იჯარად.

საოპერაციო იჯარაში გადახდილი თანხების აღიარება ხდება წრფივი მეთოდით, იჯარის პერიოდზე თანაბრად გადანაწილებული ხარჯის სახით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სისტემატიზაციის სხვა საფუძველი უფრო წარმომადგენლობითია საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მიღების გრაფიკის თვალსაზრისით. საიჯარო შეთანხმების საფუძველზე გადახდილი პირობითი საიჯარო თანხების ასახვა ხარჯის სახით ხდება იმ პერიოდისთვის, როდესაც მოხდა მათი გადახდა.

ჩვეულებრივი იჯარის დროს, კომპანია, როგორც მეიჯარემა საიჯარო აქტივებს წარადგენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის ბუნების შესაბამისად.

იჯარიდან მიღებული შემოსავალს აღიარებს თანაბარზომიერად, იჯარის მთელი ვადის განმავლობაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სისტემატური საფუძველი უფრო დამახასიათებელია იმ დროის მონაკვეთისათვის, რომლის დროსაც იჯარით გაცემული აქტივის გამოყენებიდან მიღებული სარგებელი მცირდება.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

✓ კომპ. ტექნიკა და საკომუნიკ. მოწყობ.	10-20%
✓ სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
✓ ავეჯი და მოწყობილობები	10-20%
✓ სხვა ძირითადი საშუალებები	10-20%

თუ არსებობს რაიმე მინიშნება, რომ ცვეთის განაკვეთებში, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადაში ან ნარჩენ ღირებულებაში მოხდა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება, მოხდება აქტივის ცვეთის გადახედვა და კორექტირება, რათა ასახოს მიმდინარე შეფასებები აქტივის მოსალოდნელ გამოყენებასთან დაკავშირებით. ძირითადი საშუალებების მიმდინარე მომსახურების ხარჯების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში მათი გაწვევისთანავე.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივების შეფასება ხდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე.

(თ) შემოსავლისა და ხარჯის აღიარება

კომპანიის საპროცენტო შემოსავლები და ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დარიცხვის მეთოდებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შესაბამისად. 2018 წლის 1 იანვრიდან კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც ფასდება ამორტიზებული ღირებულებით, გარდა გაუფასურებული საკრედიტო აქტივებისა საერთო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

როდესაც ფინანსური აქტივი უფასურდება კომპანია გამოითვლის საპროცენტო შემოსავალს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ

ფინანსური აქტივები გამოსწორდა და აღარ არის გაუფასურებული, მაშინ კომპანია უბრუნდება საპროცენტო შემოსავლის გამოთვლას სრული ღირებულების საფუძველზე.

სხვა შემოსავალი და ხარჯები აღიარდება დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

(ი) ხელფასები და ბონუსები

ხელფასები, ბონუსები აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში როდესაც მიიღო სარგებელი კომპანიამ.

(კ) საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების აღიარება

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში თუ ის იწვევს მომავლი ეკონომიური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში დაუყოვნებლივ, თუ ვერ მოხდება მისგან მომავალი ეკონომიური სარგებლის მიღება, ან თუ ეკონომიური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა აქტივად აღიარების მოთხოვნის დაკმაყოფილება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(ლ) მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება მიმდინარე მოგების გადასახადისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების თანხების ჯამისგან. მიმდინარე მოგების გადასახადის გაანგარიშება ხდება წლის დასაბეგრი (15%-იანი განაკვეთი) მოგების საფუძველზე.

გადავადებული გადასახადი წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილი აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათი შესაბამისი საგადასახადო ბაზის მონაცემებს შორის სხვაობის (დროებითი სხვაობა) შედეგს. გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში გაზრდის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული საგადასახადო აქტივების აღიარება ხდება ყველა იმ დროებითი სხვაობის საფუძველზე, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს დასაბეგრ მოგებას და გამოუყენებელ საგადასახადო ზარალს.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხდება გადავადებული საგადასახადო აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულების შეფასება და სწორდება იმგვარად, რომ გათვალისწინებული იყოს მომავალი დასაბეგრი მოგების მიმდინარე შეფასებები. ნებისმიერი კორექტირების თანხა აისახება მოგებაში ან ზარალში.

გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საგადასახადო განაკვეთების საფუძველზე, რომელთა გამოყენებაც მოსალოდნელია იმ პერიოდების დასაბეგრი მოგების (საგადასახადო ზარალის) მიმართ, რომელთათვისაც ივარაუდება გადავადებული საგადასახადო აქტივის რეალიზება ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების დაფარვა. გადავადებული გადასახადის გაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის დადგენილი ან არსებითად დადგენილი საგადასახადო განაკვეთის და მოქმედი კანონმდებლობის გამოყენებით.

(მ) საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი და ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით იმფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომელიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

(ნ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში გარდა იმ შემთხვევის, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიური სარგებლის გასვლა და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ იმფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიური სარგებლის შემოსვლა შესაძლებელია, აისახება განმარტებით შენიშვნებში.

რეზერვის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას აქვს მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება არის შესაძლებელი.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

ფინანსური ანგარიშგების ფასს-ის შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების სახით ასახულ თანხებზე.

(ა) განუსაზღვრელობის შეფასება

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების დასადგენად, კომპანიის ხელმძღვანელობამ სააღრიცხვო პოლიტიკის გატარებისას გამოიყენა თავისი შეფასებები.

(ბ) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების ზარალის შეფასება

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ სააღრიცხვო პოლიტიკით გამოყენებული ძირითადი შეფასებები, რომლებიც ყველაზე დიდ გავლენას ახდენს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაზე:

- ✓ საპროგნოზო სცენარების დადგენა: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას კომპანია იყენებს გონივრულ და ფაქტებით გამყარებულ საპროგნოზო იმფორმაციას, რომელიც ეფუძნება მოსაზრებებს სხვადასხვა ეკონომიკური ფაქტორის სამომავლო მოქმედებისა და ამ ფაქტორების ურთიერთქმედების შესახებ.
- ✓ დეფოლტის ალბათობა: დეფოლტის ალბათობა წარმოადგენს მთავარ მონაცემს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისას. დეფოლტის ალბათობა არის მაჩვენებელი, რომელიც გვიჩვენებს დეფოლტის მოხდენის ალბათობას კონკრეტულ პერიოდში, რომლის გაანგარიშებისას გამოიყენება ისტორიული მონაცემები და სამომავლო პირობებთან დაკავშირებული დაშვებები და მოლოდინი.
- ✓ ზარალი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში: ზარალი დეფოლტის შემთხვევაში არის შესაძლო ზარალის სიდიდე, რომელიც წარმოიშობა დეფოლტის შემთხვევაში, იგი ეფუძნება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებს და იმ ნაკადებ მორის სხვაობას, რომლის მიღებასაც ელის კრედიტორი გირაოთი უზრუნველყოფილი სესხებიდან და კრედიტის ერთიანი გაზრდით მიღებული ნაღდი ფულის ნაკადის გათვალისწინებით.

დამატებითი იმფორმაცია მოცემულია შენიშვნა 20 (რისკების მართვა).

(გ) გადასახადები.

კომპანიის სამართლიანობიდან გამომდინარე ყველა ოპერაციის დაბეგვრის საკითხები საგადასახადო კანონდებლობით სარწმუნოთ განსაზღვრული არ არის, ამიტომ შეიძლება საგადასახადო შემოწმებისას ყველა დეკლარირებული იმფორმაციის ზუსტად დასაბუთება ვერ მოხერხდეს.

(დ) სასამართლო დავები.

კომპანია განიხილავს დამდგარ სასამართლო დავებს და აფასებს შესაბამისი რეზერვის შექმნის საკითხს, ითვალისწინებს დავის ხასიათს, პოტენციური ზარალის და შესაბამისად იურისტების რჩევებს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

6. ფული და ფულადი ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ნაღდი ფული საღაროში	10 108	9 272
ფული საბანკო ანგარიშებზე	15 769	25 047
სულ ფული და ფულადი ეკვივალენტები	25 876	34 319

7. გაცემული სესხები

გაცემული სესხები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ძრი თანხა	1 697 996	2 094 345
დარიცხული პროცენტი	29 365	71 887
სულ გაცემული სესხები	1 727 361	2 166 232
მინუს გაუფასურების რეზერვი	(131 908)	(112 754)
წმინდა გაცემული სესხები	1 595 453	2 053 478

ფასს 9-ის მიღების შედეგად 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის საკრედიტო ხარისხი სეგმენტის და ეკონომიკური საქმიანობის და შესაბამისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL)-ის მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	გაცემული სესხები სულ
სამომხმარებლო	1 044 321	45 461	81387	1 171 169
ვაჭრობა და მომსახურება	393 462	32 636	38848	464 946
სოფლის მეურნეობა	21 594	197	0	21 791
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	32 849	1 808	197	34 854
დანარჩენი სფეროები	24 588	2 006	8007	34 601
გაცემული სესხები სულ	1 516 814	82 108	128 439	1 727 361

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	ECL სულ
სამომხმარებლო	(16 604)	(1 387)	(66 683)	(84 674)
ვაჭრობა და მომსახურება	(6 287)	(998)	(31 830)	(39 115)
სოფლის მეურნეობა	(350)	(6)	-	(356)
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	(528)	(56)	(162)	(746)
დანარჩენი სფეროები	(394)	(62)	(6 561)	(7 017)
ECL სულ	(24 163)	(2 509)	(105 236)	(131 908)
წმინდა გაცემული სესხები	1 492 651	79 599	23 203	1 595 453

ინფორმაცია კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხის შესახებ შიდა საკრედიტო რისკის კატეგორიების მიხედვით 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

არაუზრუნველყოფილი (საბლანკო) სესხები	მოთიანი თანხა	ECL	წმინდა თანხა	ECL %
არავადაგადაცილებული	1 452 140	(23 117)	1 429 023	1.59%
30 დღე ვადაგადაცილება	64 673	(1 046)	63 627	1.62%
30-60 დღე ვადაგადაცილება	40 504	(1 236)	39 268	3.05%
60-90 დღე ვადაგადაცილება	41 604	(1 274)	40 330	3.06%
90-ზე მეტდღიანი ვადაგადაცილება	128 440	(105 235)	23 205	81.93%
	1 727 361	(131 908)	1 595 453	8%

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

გაცემული სესხების ცვლილება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	გაცემული სესხები 12-თვიანი (ECL)-ით	გაცემული სესხები სრული (ECL)-ით არასაკრედიტო რისკით გაუფასურებული	გაცემული სესხები სრული (ECL)-ით საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
გაცემული სესხები წლის დასაწყისში				2 166 232
ბასს 39-ის მიხედვით				
ცვლილება გამოწვეული ფასს 9-ის დანერგვით				-
გაცემული სესხები წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	1 956 248	89 054	120 930	2 166 232
ახალი გაცემული სესხები	4 047 600	-	-	4 047 600
გადატანა მეორე ეტაპზე	(693 912)	693 912	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(699 008)	699 008	-
დაფარული სესხები	(3 793 123)	(1 851)	(30 904)	(3 825 878)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(660 593)	(660 593)
გაცემული სესხები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1 516 813	82 107	128 441	1 727 361

	ეტაპი 1	ეტაპი 2	ეტაპი 3	
	12-თვიანი (ECL)	სრული (ECL) არასაკრედიტო რისკით გაუფასურებული	სრული (ECL) საკრედიტო რისკით გაუფასურებული	სულ
რეზერვი წლის დასაწყისში				112 754
ბასს 39-ის მიხედვით				
ცვლილება გამოწვეული ფასს 9-ის დანერგვით				(1 063)
რეზერვი წლის დასაწყისში ფასს 9-ის მიხედვით	17 768	1 511	92 412	111 691
ახალი გაცემული სესხები	38 047	-	-	38 047
გადატანა მეორე ეტაპზე	(12 143)	12 143	-	-
გადატანა მესამე ეტაპზე	-	(553 894)	553 894	-
დაფარული სესხები	(35 655)	(32)	(24 488)	(60 175)
წლის მანძილზე ჩამოწერილი სესხები	-	-	(514 691)	(514 691)
სხვა ცვლილებები	16 148	542 780	(1 892)	557 036
რეზერვი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	24 165	2 509	105 235	131 908

გაცემული სესხების გაუფასურების პოლიტიკის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია შენიშვნა 20 (რისკების მართვა).

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიღებამდე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით პორტფელის განაწილება გაცემული სესხების ეკონომიკური საქმიანობის მიხედვით შემდეგია:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2017
სამომხმარებლო	1 274 422
ვაჭრობა და მომსახურება	822 182
სოფლის მეურნეობა	27 258
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	12 635
დანარჩენი სფეროები	29 735
მთლიანი გაცემული სესხები	2 166 232
მინუს გაუფასურების რეზერვი	(112 754)
წმინდა გაცემული სესხები	2 053 478

შემდეგი ცხრილი გვიჩვენებს კლიენტებზე გაცემული სესხების საკრედიტო ხარისხს 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის მუდარდება სესხებთან (ბრუტო)
სამომხმარებლო სესხები					
არავადაგადაცილებული	1 102 606	(11 026)	32 354	1 123 934	1%
1-3 დღემდე ვადაგადაცილება	4 000	(80)	117	4 037	2%
4-30 დღემდე ვადაგადაცილება	23 250	(2 325)	682	21 607	10%
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	43 699	(10 925)	1 282	34 057	25%
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	43 593	(21 797)	1 279	23 076	50%
151-180 დღემდე ვადაგადაცილება	20 944	(15 708)	615	5 851	75%
სულ სამომხმარებლო სესხები	1 238 092	(61 860)	36 330	1 212 562	5.00%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის მუდარდება სესხებთან (ბრუტო)
ვაჭრობა და მომსახურების სესხები					
არავადაგადაცილებული	671 638	(6 716)	28 600	693 522	1%
1-3 დღემდე ვადაგადაცილება	1 411	(28)	60	1 443	2%
4-30 დღემდე ვადაგადაცილება	25 684	(2 568)	1 094	24 209	10%
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	39 158	(9 790)	1 667	31 036	25%
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	33 547	(16 774)	1 429	18 202	50%
151-180 დღემდე ვადაგადაცილება	17 164	(12 873)	731	5 022	75%
სულ ვაჭრობა და მომსახურების სესხები	788 602	(48 749)	33 581	773 434	6.18%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის მუდარდება სესხებთან (ბრუტო)
სოფლის მეურნეობის სესხები					
არავადაგადაცილებული	23 187	(232)	848	23 803	1%
31-90 დღემდე ვადაგადაცილება	1 737	(434)	64	1 366	25%
91-150 დღემდე ვადაგადაცილება	1 371	(686)	50	736	50%
სულ სოფლის მეურნეობის სესხები	26 295	(1 352)	962	25 905	5.14%

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო)
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები					
არავადაგადაცილებული	12 460	(125)	176	12 511	1%
სულ ტრანსპორტი და კავშირგაბმულობის სესხები	12 460	(125)	176	12 511	1.00%

	გაცემული სესხები (ბრუტო)	გაუფასურების რეზერვი	დარიცხული პროცენტი (ნეტო)	გაცემული სესხები (ნეტო)	გაუფასურების რეზერვის შეფარდება სესხებთან (ბრუტო)
დანარჩენი სფეროების სესხები					
არავადაგადაცილებული	27 312	(273)	793	27 832	1%
31-90 დღემდე ვადაგაცილება	1 584	(396)	46	1 234	25%
სულ დანარჩენი სფეროების სესხები	28 896	(669)	839	29 066	2.32%
სულ კლიენტებზე გაცემული სესხები	2 094 345	(112 755)	71 888	2 053 478	5.38%

8. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირ-ბა	კომპიუტ. ტექნიკა	სატრანსპ. საშუალება	ავთო	იჯარით აღებული ქონება	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	23 618	13 125	10 313	10 577	57 633
შემოსვლა	4 079	-	1 230	-	5 309
გასვლა	(2 443)	-	(668)	-	(3 111)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	25 254	13 125	10 875	10 577	59 831
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	(15 383)	(6 250)	(8 106)	(4 231)	(33 970)
ცვეთის დარიცხვა	(2 515)	(1 875)	(735)	(2 115)	(7 240)
შემცირება გასვლის შედეგად	2 443	-	668	-	3 111
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	(15 455)	(8 125)	(8 173)	(6 346)	(38 099)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	9 799	5 000	2 702	4 231	21 732

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

ისტორიული ღირ-ბა	კომპიუტ. ტექნიკა	სატრანსპ. საშუალება	ავიჯი	იჯარით აღებული ქონება	სულ
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	18 737	13 125	9 943	10 577	52 382
შემოსვლა	4 881	-	370	-	5 251
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	23 618	13 125	10 313	10 577	57 633
დაგროვილი ცვეთა					
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	(13 304)	(4 375)	(7 389)	(2 115)	(27 183)
ცვეთის დარიცხვა	(2 079)	(1 875)	(718)	(2 115)	(6 787)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	(15 383)	(6 250)	(8 107)	(4 230)	(33 970)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი	8 235	6 875	2 206	6 347	23 663

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

კომპანია საგადასახადო მიზნით იყენებს ძირითადი საშუალებების სრულად გამოქვითვის მეთოდს.

9. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ისტორიული ღირ-ბა	პროგრამული უზრუნველყოფა
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	40 124
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	40 124
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	(334)
ცვეთის დარიცხვა	(4 013)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბერი	(4 347)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2018 წლის 31 დეკემბერი	35 777
ისტორიული ღირ-ბა	პროგრამული უზრუნველყოფა
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	-
შემოსვლა	40 124
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	40 124
დაგროვილი ცვეთა	
ნაშთი 2016 წლის 31 დეკემბერი	-
ცვეთის დარიცხვა	(334)
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბერი	(334)
წმინდა საბალანსო ღირებულება 2017 წლის 31 დეკემბერი	39 790

10. გადასახადები

საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილებები.

საქართველოს საგადასახადო კანონში მოგების გადასახადთან დაკავშირებით, 2016 წლის ივნისში შევიდა ცვლილებები, რომელიც ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც ძალაში შესვლის თარიღი 2019 წლის 1 იანვრით განისაზღვრა. ახალი ნორმატიული

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

აქტების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით საწარმოს პარტნიორ ფიზიკურ პირებზე ან პარტნიორ არარეზიდენტებზე განაწილებული მოგება და არა საწარმოს მიერ ფაქტობრივად მიღებული მოგება. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საწარმოებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადი, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შემოადინებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასით შესრულებული გარიგებები, ხარჯები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ბიზნესსაქმიანობასთან, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

2018 წლის 30 მაისს ისევ მოხდა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რის მიხედვითაც კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ლომბარდი მოგების გადასახადით საგადასახადო კოდექსის 97-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებიან 2023 წლის 1 იანვრიდან.

2018 და 2017 წლების საგადასახადო ხარჯის/(შემოსავლის) შესახებ ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ:

	2018	2017
მიმდინარე საგადასახადო (ხარჯი)/შემოსავალი	(70 905)	(88 012)
დროებითი სხვაობის თავდაპირველ წარმოქმნასთან და გაუქმებასთან დაკავშირებული გადავადებული საგადასახადო (ხარჯი)/შემოსავალი	(61 307)	(20 386)
საგადასახადო ხარჯი	(132 212)	(108 398)

	2018	2017
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით დაბეგვრამდე	(103 196)	142 910
კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთი	15%	15%
მოგების გადასახადის (ხარჯი)/შემოსავალი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით	15 479	(21 437)
გამოუქვითავი დანახარჯების საგადასახადო შედეგი საგადასახადო მოგების განსაზღვრისას:	(147 691)	(86 961)
საგადასახადო ხარჯი	(132 212)	(108 398)

ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის გამოყენებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ნაშთებსა და საგადასახადო მიზნებისათვის გამოყენებულ თანხებს შორის დროებითი სხვაობა წარმოშობს წმინდა გადავადებულ საგადასახადო აქტივს 2018 და წმინდა გადავადებულ საგადასახადო ვალდებულებას 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით.

დროებითი სხვაობების მოძრაობები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია ქვემოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება					
	2016	ადიარებული მოგება- ზარალი	2017	ადიარებული მოგება- ზარალი	2018
გამოსაქვითი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
გაცემული სესხები	86 961	(18 743)	68 218	(68 218)	-
საპროცენტო შემოსავალი	-	-	-	4 489	4 489
ფ/პ გადაუხდელი პროცენტები	711	(287)	424	1 143	1 567
გადავადებული საგადასახადო აქტივი	87 672	(19 030)	68 642	(62 586)	6 056
დასაბეგრი დროებითი სხვაობების საგადასახადო ეფექტი					
ძირითადი საშუალებები	(776)	(220)	(996)	(93)	(1 089)
არამატერიალური აქტივი	-	(853)	(853)	(166)	(1 019)
მისაღები ჯარიმები	(1 642)	(284)	(1 926)	1 538	(388)
გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები	(2 418)	(1 357)	(3 775)	1 279	(2 496)
გადავადებული საგადასახადო აქტივი/(ვალდებულება)	85 254	(20 387)	64 867	(61 307)	3 560

11. სხვა აქტივები

	2018	2017
მარაგი	898	1 018
გადახდილი ავანსები	12 740	9 961
მისაღები ჯარიმები	2 585	12 841
სულ სხვა აქტივები	16 223	23 820

12. მიღებული სესხები

	ფინანსური ინსტიტუტებიდან	იურიდიული პირიდან	ფიზიკური პირებიდან	სულ
ნაშთი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	178 210	1 430 802	180 029	1 789 041
ძირი თანხის მიღება/(დაფარვა)	(50 402)	(1 235 000)	326 344	(959 058)
დარიცხული/(დაფარული) პროცენტი	(413)	(359)	7 620	6 848
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	127 395	195 443	513 993	836 831

კომპანიას სს „საქართველოს ბანკიდან“ მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში ლარში, სესხის ნაშთი 2018 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 127395 ლარია. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 11.5%-ს. სესხის დაფარვის ვადაა 2021 წლის 05 იანვარი. უზრუნველყოფის სახეს წარმოადგენს 2017 წელს არსებული პარტნიორობის პირადი უძრავი ქონება.

ასევე კომპანიას მიღებული აქვს სესხები როგორც იურიდიული ისე ფიზიკური პირებისაგან.

იურიდიული პირისაგან (ააიპ „ნდობის კავშირისგან“, რომელიც ამავე დროს წარმოადგენს კომპანიის 100%-ის მფლობელ პარტნიორს) მიღებული აქვს გრძელვადიანი სესხი ეროვნულ ვალუტაში, რომლის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 195443 ლარია. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთი შეადგენს 5%-ს. სესხი არის არაუზრუნველყოფილი.

ფ/პირებისაგან მიღებული ყველა სესხი არის მოკლევადიანი და არაუზრუნველყოფილი. საპროცენტო განაკვეთი 13%-ია და 2018 წლის წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენს 513993 ლარს.

ქვემოთ ცრილში მოცემულია ვადები და ვალდებულებების დაფარვის სქემა:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2018				2017		
	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის პერიოდი	ნომინალური ღირ-ბა	საბალანსო ღირ-ბა	ნომინალური ღირ-ბა	საბალანსო ღირ-ბა
სესხები ფინანსური ინსტიტუტებისგან	ლარი	11.5%	2021	127 395	127 395	178 210	178 210
სესხი იურიდიული პირებისაგან	ლარი	5.0%	2025	195 443	195 443	1 430 802	1 430 802
სესხები სხვა ფიზიკური პირებისაგან	ლარი	13.0%	2019	513 993	513 993	180 029	180 029
სულ საპროცენტო განაკვეთის მატარებელი ვალდებულებები				836 831	836 831	1 789 041	1 789 041

ფინანსური საქმიანობიდან მოზიდული სახსრების ანალიზი

ინფორმაცია ფინანსური საქმიანობიდან მოზიდული სახსრების ცვლილებების მ/შ ფულადი და არაფულადი სახით წარმოდგენილია ქვემოთ:

	ნაშთი 31.12.2018	ნაშთი 31.12.2017	ცვლილება პერიოდში სულ	ფულადი	არაფულადი
სესხები ფინანსური ინსტიტუტებიდან	127 395	178 210	(50 815)	(50 401)	(414)
სესხები იურიდიული პირიდან	195 443	1 430 802	(1 235 359)	(38 010)	(1 197 349)
სესხები ფიზიკური პირებიდან	513 993	180 029	333 964	(64 630)	398 594
სულ	836 831	1 789 041	(952 210)	(153 041)	(799 169)

13. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალის მართვის მიზანია უზრუნველყოს საწარმოს ფუნქციონირება ეროვნული ბანკისა და პარტნიორის მიერ დადგენილი მოთხოვნების დაცვა და პარტნიორის მიზანშეწონილი სარგებლის გამომუშავება.

კომპანია კაპიტალის სტრუქტურას მართავს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და რისკების გათვალისწინებით.

კაპიტალი და რეზერვები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საწესდებო კაპიტალი	1 000 000	301 000
საერთო რეზერვი	113 038	-
გაუნაწილებელი მოგება პერიოდის დასაწყისში	148 824	274 312
ფასს 9-ის მიხედვით გაუნაწილებელი მოგების კორექტირება	1 063	-
მიმდინარე პერიოდის მოგება/(ზარალი)	(235 408)	34 512
დარიცხული და გადახდილი დივიდენდი	(148 824)	(160 000)
სულ საკუთარი კაპიტალი	878 693	449 824

2018 წელს კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 699,000 ლარით. ასევე გაიზარდა საერთო რეზერვი 200,000 ლარით, რომელიც წლის ბოლოსათვის შემცირდა წინასწარ გაცემული დივიდენდის თანხით 86,962 ლარით და საბოლოო საერთო რეზერვმა შეადგინა 113,038 ლარი.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება 143/04-ის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება დადგენილი ნორმატივების და ლიმიტების დაკმაყოფილება. ერთ-ერთი ასეთი არის კაპიტალის

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კოეფიციენტი, რომელიც კომპანიამ უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობით: 16% 2018 წლის 31 დეკემბრამდე და 18% 2019 წლის 30 ივნისამდე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კაპიტალის კოეფიციენტის გაანგარიშება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის.

	2018	2017
საწესდებო კაპიტალი	1 000 000	301 000
საერთო რეზერვი	113 038	-
გაუნაწილებელი მოგება	(234 345)	148 824
საზედამხედველო კაპიტალი დაქვითვამდე	878 693	449 824
მინუს: სულ დაქვითვები (არამატ. აქტივების საბალ. ღირ.)	(35 777)	(39 790)
საზედამხედველო კაპიტალი	842 916	410 034
მთლიანი აქტივები დაქვითვამდე	1 715 524	2 239 938
მინუს: სულ დაქვითვები (არამატ. აქტივების საბალ. ღირ.)	(35 777)	(39 790)
მთლიანი აქტივები დაქვითვების შემდეგ	1 679 747	2 200 148
კაპიტალის კოეფიციენტი	50.18%	18.64%

სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის კოეფიციენტი (16%) კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის დააკმაყოფილა და შეადგინა 50,18%.

14. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცენტო შემოსავალი სამომხმარებლო სესხებიდან	501 718	577 484
საპროცენტო შემოსავალი ვაჭრობა და მომსახურების სესხებიდან	241 507	409 859
საპროცენტო შემოსავალი სოფლის მეურნეობის სესხებიდან	14 666	13 630
საპროცენტო შემოსავალი ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობიდან	14 543	501
საპროცენტო შემოსავალი დანარჩენი სფეროების სესხებიდან	15 408	4 641
სულ საპროცენტო შემოსავალი	787 842	1 006 115
საპროცენტო ხარჯი ბანკებიდან მიღებულ სესხებზე	(17 314)	(16 850)
საპროცენტო ხარჯი იურიდიულ პირებიდან მიღებულ სესხებზე	(58 264)	(72 682)
საპროცენტო ხარჯი ფიზიკურ პირებიდან მიღებულ სესხებზე	(34 888)	(24 184)
სულ საპროცენტო ხარჯი	(110 466)	(113 716)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	677 376	892 399

15. სესხის გაუფასურების ზარალი

სესხის გაუფასურების ზარალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
სამომხმარებლო სესხების მიხედვით	(258 186)	(236 271)
ვაჭრობა და მომსახურების სესხების მიხედვით	(170 699)	(230 750)
სოფლის მეურნეობის სესხების მიხედვით	(4 395)	(6 495)
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სესხების მიხედვით	(2 369)	(125)
დანარჩენი სფეროების სესხების მიხედვით	(13 833)	(3 594)
სულ სესხის გაუფასურების ზარალი	(449 482)	(477 235)

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

16. შემოსავალი ჯარიმების სახით

შემოსავალი ჯარიმებიდან 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია ქვემოთ:

	2018	2017
სამომხმარებლო სესხებიდან	25 268	35 248
ვაჭრობა და მომსახურების სესხებიდან	17 235	34 238
სოფლის მეურნეობის სესხებიდან	827	1 131
ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სესხების მიხედვით	319	-
დანარჩენი სფეროების სესხებიდან	535	421
სულ შემოსავალი ჯარიმებიდან	44 184	71 038

17. სხვა შემოსავალი

სხვა შემოსავალი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
საპროცედურო შემოსავალი	44 496	77 365
შემოსავალი ადრე დაფარვის საკომისიოდან	836	17 160
შემოსავალი ვალუტის კონვერტაციიდან	-	10
საქართველოს ბანკის აპარატის იჯარიდან მიღებული შემოსავალი	180	84
შემოსავალი ცნობის გაცემიდან	-	40
გაუთვალისწინებელი შემოსავლები	-	2 632
სულ სხვა შემოსავალი	45 512	97 291

18. პერსონალის ხარჯი

პერსონალის ხარჯი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ხელფასის და ბონუსის ხარჯები	337 914	333 112
ხელმძღვანელობის პრემირების ხარჯები	5 100	19 094
თანამშრომელთა პრემირების ხარჯები	3 600	17 194
სულ პერსონალის ხარჯი	346 614	369 400

19. საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	11 253	7 121
წარმომადგენლობითი ხარჯი	1 107	1 215
აუდიტორული მომსახურების ხარჯი	12 000	12 000
კომუნალური მომსახურების ხარჯი	3 235	2 807
კომუნიკაციის ხარჯი	8 314	8 076
ოფისის იჯარის ხარჯი	27 300	27 050
საკანცელარიო ხარჯი	3 298	3 162
რეკლამის ხარჯი	400	-
სხვა საოპერაციო ხარჯი	7 422	10 032
სულ საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯი	74 329	71 463

20. რისკების მართვა, პოლიტიკა და პროცედურები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- ✓ საკრედიტო რისკი;
- ✓ ლიკვიდურობის რისკი;
- ✓ საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
 - სავალუტო რისკი;

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც კომპანიას შეიძლება წარმოექმნას რისკები არის შემდეგი:

	2018	2017
ფული და ფულადი ეკვივალენტები	25 876	34 319
გაცემული სესხები	1 595 453	2 053 478
სხვა აქტივები	16 223	23 820
მიღებული სესხები	836 831	1 789 041

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

რამდენადაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე საბლანკო სესხების გაცემა, ამდენად საკრედიტო რისკი დიდ როლს თამაშობს კომპანიის რისკების მართვაში.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს:

- ✓ სესხის გაცემის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობებს;
- ✓ სასესხო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- ✓ სესხის პირობებს;
- ✓ საკრედიტო დუკუმენტაციის მოთხოვნებს;
- ✓ სესხის მონიტორინგს.

სესხი იცემა, რესურსების არსებობის შემთხვევაში მხოლოდ იმ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გადახდისუნარიანობის კრიტერიუმს, რიგითობის მიხედვით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო სესხის დამტკიცების უფლებას გადაცემს საკრედიტო კომიტეტს, განსაკუთრებულ შემთხვევაში სესხის გაცემის საკითხი განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე.

აღმასრულებელ დირექტორს ევალება სესხის მონიტორინგის ზედამხედველობა.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებს საკრედიტო განყოფილება მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულად განეიტრალებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ კრედიტ რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ქვემოთ:

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

	2018	2017
ფული და ფულადი ეკვივალენტები	25 876	34 319
გაცემული სესხები	1 595 453	2 053 478
სხვა აქტივები	16 223	23 820

(ა.1) ცვლილება ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა კომპანიის მიდგომები გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებთან დაკავშირებით. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისათვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება (ECL)-ს, რომელიც გაანგარიშებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვების შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვის ზარალი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 12 თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით 2018 წლის პირველი იანვრიდან თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც გაითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში შესაბამისად კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად:

პირელი ეტაპი:

სესხების თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ქმნის რეზერვს თორმეტი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოხედვით.

მეორე ეტაპი:

როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.

მესამე ეტაპი:

სესხები, რომელიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება და შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებებს შესაბამისად. ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად რისკის მართვის პროცესში, საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია, რომელიც გარკვეულ მოდელების გამოყენებას გულისხმობს.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანია ფასს 9-ის მოთხოვნებით საკრედიტო ზარალის (ECL) გასაზომად შემდეგ მოდელს იყენებს.

- ✓ დეფოლტის ალბათობა (PD)
- ✓ დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD)
- ✓ დეფოლტის რისკი პიზიციის (EAD)

აღნიშნული პარამეტრები შეფასებულია შიდა სტატისტიკური და ისტორიული მონაცემების გამოყენებით და გამიზნულია სამომავლო პროგნოზის ასახვისათვის.

PD დეფოლტის ალბათობა

დეფოლტის ალბათობა არის გარკვეულ დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში თუ სესხი ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.

EAD დეფოლტის მომენტისათვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისათვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისათვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა.

LGD დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელმეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

(ა.2) მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ECL შეფასება

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ECL ფასდება ინდივიდუალურად ისეთი სესხების მიმართ, რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამოწვევი მოვლენა, ასეთი მსესხებლებისათვის ანალიზდება სხვადასხვა იმფორმაცია; ფინანსური რისკები, ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურისაცაა, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისათვის ფასდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ECL-ის შეფასება ჯგუფურად

სესხების ჯგუფურად შეფასებისათვის, კომპანიამ პორტფელი, რომელიც შედგება ერთი სეგმენტისგან - არაუზრუნველყოფილი სესხები, დაყო 4 კატეგორიად და (ECL)-ის შეფასებას ახდენს, მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელ 4 ჯგუფად რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

საკრედიტო პორტფელის სეგმენტი	საკრედიტო რისკის კატეგორია	ვადაგაცილების დღეები	რესტრუქტ. სესხი	ჯგუფი	ეტაპი
არაუზრუნველყოფილი სესხი	1. სტანდარტული	0-30	არა	C.1	I
	2. არასტანდარტ.	30-90	არა	C.2	II
	3. საეჭვო	90-120	დიახ	C.3	III
	4. უიმედო	>120-ზე	არა	C.4	III

(ა.3) დეფოლტის განსაზღვრა

კომპანია დეფოლტს აღიარებს შემდეგ შემთხვევაში:

- ✓ მსესხებლის გარდაცვალება;
- ✓ გარე ფაქტორები, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის გამოც კლიენტი გადახდის უუნარო ხდება;
- ✓ 90 დღეზე ვადა გადაცილებული სესხები;

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

- ✓ აქტივების კატეგორია, რომლებიც კომპანიის საკრედიტო პოლიტიკასა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით არის „საეჭვო“ და „უიმედო“ სესხები.

დეფოლტის განსაზღვრა შესაბამისობაშია ფასს 9-ის რეგულაციების მიხედვით 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან.

(ა.4) საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ისტრუმენტებზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ იმფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე. ეს დფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე და მომავლის პროგნოზისათვის საჭირო იმფორმაციაზე. რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აქტივი ხვდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე ანუ დანაკარგის რეზერვი იქმნება მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ასევე აქტივების კატეგორია, რომელიც კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით არის „საყურადღებო სესხი“ მიიჩნევა რისკის მნიშვნელოვან ზრდად. რესტრუქტურიზირებული სესხები, რომელთა მოდიფიკაცია არ არის დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან ჩაითვლება რისკის მნიშვნელოვან ზრდად და მიეკუთვნება მე-2-ე ეტაპს.

(ა.5) დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის PD განსაზღვრა

თითოეული ჯგუფისათვის დეფოლტის ალბათობის კოეფიციენტის გასნსაზღვრად კომპანია იყენებს ისტორიულ მონაცემებსა და გადაუხდელობის მონაცემებზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკურ ანალიზს.

ამ მიდგომით ხდება თითოეული ჯგუფის 12 თვიანი დეფოლტის ალბათობის გამოთვლა, რომლის გათვალისწინებით გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის ალბათობა პორტფელის ვადის ამოწურვამდე. სესხს რომელმაც განიცადა დეფოლტი, უპირობოდ განესაზღვრება 100%-ანი ალბათობა.

(ა.6) დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) განსაზღვრა

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია (LGD). ის გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისათვის რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად კომპანია იყენებს ბოლო სამი წლის განმავლობაში გადაფოლტებული სესხების მაჩვენებელს და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხების შემოდივნებას ყოველ წლიურ ჭრილში. ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის დაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული სეგმენტისათვის.

(ა.7) დეფოლტის რისკის პოზიციის (EAD) განსაზღვრა

(EAD) წარმოადგენს პოტენციური დეფოლტის მომენტში ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას. ეს წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადს დეფოლტის მომენტში.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ყველა სეგმენტისათვის ცალ-ცალკე დაანგარიშდება, მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, %-ის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

(ა.8) საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოთვლებში კომპანია იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს პერიოდულად. დეფოლტის ალბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ ალბათობას

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი ალბათობის საფუძველს, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო დანახარჯების გამოთვლაში გამოიყენება.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიზნებისათვის საქართველოს ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია.

კომპანია დეფოლტის ალბათობის გამოთვლისათვის იყენებს საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტის და ინფლაციის განაკვეთის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია 2018 წლის 31 დეკემბერს გამოყენებული 2019-2021 წლების საქართველოს ეკონომიკურ სცენარებში შესული ინდიკატორები.

	2019	2020	2021
მშპ-ის ზრდის დონე			
საბაზისო სცენარი	5.0%	5.0%	5.0%
აღმავალი სცენარი	6.0%	5.5%	5.0%
დადმავალი სცენარი	2.0%	2.5%	3.5%
უმუშევრობის დონის ცვლილება			
საბაზისო სცენარი	2.9%	3.0%	3.0%
აღმავალი სცენარი	3.4%	3.2%	3.0%
დადმავალი სცენარი	4.5%	4.0%	3.0%

(ბ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების კომპანიაზე გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

(ბ.1) საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიაზე მოქმედებს ფინანსური პოზიციისა და ფულადი ნაკადების ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

კომპანია პროცენტის დარიცხვას აჩერებს იმ გაცემულ სესხებზე, რომელთა ამოღება გართულებული იყო და სასამართლოს მიერ სათანადო გადაწყვეტილება მიღებული. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, კომპანია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, კუთვნილი თანხების იძულებით დასაბრუნებლად.

ქვემოთ მოცემული ცხრილი აჯამებს კომპანიის მგრძნობელობას საპროცენტო განაკვეთის რისკის მიმართ. ცხრილი წარმოადგენს კომპანიის საპროცენტო შემოსავლის მქონე ფინანსურ აქტივებსა და საპროცენტო გასავლის მქონე ფინანსურ ვალდებულებებს 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერისთვის.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2018 წელი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცე ნტო	საბ. ღირ- ბა
აქტივები							
ფული და ფულადი ეკვივალენტები	-	-	-	-	-	25 876	25 876
კლიენტებზე გაცემული სესხები	132 091	320 704	1 142 658	-	-	-	1 595 453
სულ აქტივები	132 091	320 704	1 142 658	-	-	25 876	1 621 329
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	(86 960)	(14 239)	(410 943)	(324 689)	-	-	(836 831)
სულ ვალდებულებები	(86 960)	(14 239)	(410 943)	(324 689)	-	-	(836 831)
გადაფარვა	45 131	306 465	731 715	(324 689)	-	25 876	784 498

31 დეკემბერი 2017 წელი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	უპროცე ნტო	საბ. ღირ- ბა
აქტივები							
ფული და ფულადი ეკვივალენტები	-	-	-	-	-	34 319	34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	202 693	387 910	1 462 875	-	-	-	2 053 478
სულ აქტივები	202 693	387 910	1 462 875	-	-	34 319	2 087 797
ვალდებულებები							
მიღებული სესხები	(98 280)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	-	(1 789 041)
სულ ვალდებულებები	(98 280)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	-	(1 789 041)
გადაფარვა	104 413	373 910	1 392 875	(176 761)	(1 430 000)	34 319	298 756

კომპანიის საპროცენტო შემოსავლების მომტანი აქტივები და საპროცენტო ხარჯების წარმომდგომი ვალდებულებები წარმოდგენილია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთით.

(ა) სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ქვემოთ მოტანილ ცხრილებში ასახულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების უცხოური სავალუტო პოზიციის გავლენის სტრუქტურა 2018 და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

31 დეკემბერი 2018 წელი	GEL	EUR	USD	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ეკვივალენტები	20 379	583	4 914	25 876
კლიენტებზე გაცემული სესხები	1 595 453	-	-	1 595 453
სულ აქტივები	1 615 832	583	4 914	1 621 329
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	836 831	-	-	836 831
სულ ვალდებულებები	836 831	-	-	836 831
წმინდა პოზიცია	779 001	583	4 914	784 498

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2017 წელი	GEL	EUR	USD	სულ
აქტივები				
ფული და ფულადი ეკვივალენტები	28 970	4 759	590	34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	2 053 478	-	-	2 053 478
სულ აქტივები	2 082 448	4 759	590	2 087 797
ვალდებულებები				
მიღებული სესხები	1 789 041	-	-	1 789 041
სულ ვალდებულებები	1 789 041	-	-	1 789 041
წმინდა პოზიცია	293 407	4 759	590	298 756

(დ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელმწიფოებრივ ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტში იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს. ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- ✓ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- ✓ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ✓ ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ✓ ვალდებულებების დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ✓ ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ასახულია მოსალოდნელი დაფარვის ვადების მიხედვით 218 და 2017 წლის 31 დეკემბრისათვის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული ფინანსურ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული თანხების ანალიზი:

31 დეკემბერი 2018 წელი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფული და ფულადი ეკვივალენტები	25 876	-	-	-	-	25 876
კლიენტებზე გაცემული სესხები	132 091	320 704	1 142 658	-	-	1 595 453
სხვა მოთხოვნები	16 223	-	-	-	-	16 223
სულ აქტივები	174 190	320 704	1 142 658	-	-	1 637 552
ვალდებულებები						
მიღებული სესხები	(86 960)	(14 239)	(410 943)	(324 689)	-	(836 831)
სულ ვალდებულებები	(86 960)	(14 239)	(410 943)	(324 689)	-	(836 831)
ლიკვიდობის პოზიცია	87 230	306 465	731 715	(324 689)	-	800 721
აქტივები/ვალდებულებები	200%	105%	156%	0%	0%	205%

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

31 დეკემბერი 2017 წელი	3 თვეზე ნაკლები	3-6 თვე	6-12 თვე	1-5 წელი	5 წელზე მეტი	სულ
აქტივები						
ფული და ფულადი ეკვივალენტები	34 319					34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	202 693	387 910	1 462 875	-	-	2 053 478
სხვა მოთხოვნები	23 820					23 820
სულ აქტივები	260 832	387 910	1 462 875	-	-	2 111 617
ვალდებულებები						
მიღებული სესხები	(98 280)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	(1 789 041)
სულ ვალდებულებები	(98 280)	(14 000)	(70 000)	(176 761)	(1 430 000)	(1 789 041)
ლიკვიდობის პოზიცია	162 552	373 910	1 392 875	(176 761)	(1 430 000)	322 576
აქტივები/ვალდებულებები	160%	104%	105%	0%	0%	655%

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება 143/04-ის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება დადგენილი ნორმატივების და ლიმიტების დაკმაყოფილება. ერთ-ერთი ასეთი არის ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც კომპანიამ უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობით: 16% 2018 წლის 31 დეკემბრამდე და 18% 2019 წლის 30 ივნისამდე.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ლიკვიდობის კოეფიციენტის გაანგარიშება 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრისათვის.

	2018	2017
ნაღდი ფული	10 108	9 272
ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე	15 768	25 047
სულ ლიკვიდური აქტივები	25 876	34 319
სულ საბალანსო ვალდებულებები	836 831	1 790 114
მთლიანი ვალდებულებების დაქვითვები:		
ბანკებიდან და ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული 6 თვეზე მეტი დაფარვის ვადის მქონე ნასესხები სახსრები	(127 395)	(178 210)
მთლიანი საბალანსო ვალდებულებები ლიკვიდობის მიზნებისთვის	709 436	1 611 904
ლიკვიდობის კოეფიციენტი	3.6%	2.1%

სებ-ის მიერ დადგენილი ლიკვიდობის კოეფიციენტი (16%) კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის ვერ დააკმაყოფილა და შეადგინა 3.6%.

(ე) სამართლიანი ღირებულების შეფასება

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია იმ ფასთან მიახლოება, რომელიც მიიღება აქტივების გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისათვის. მაგრამ განუსაზღვრელობებისა და სუბიექტური მოსაზრებების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულების გადაცემით.

კომპანია განსაზღვრავს აქტივების სამართლიან ღირებულების შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს. ყველა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდის გამოყენებით, რომელიც ეყრდნობა ანალოგიურ ინსტრუმენტებზე მომავალში მოსალოდნელი ფულად ნაკადებს და დისკონტირების განაკვეთებს საანგარიშგებო თარიღისათვის.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“**ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები**

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

(ე.1) სამართლიანი ღირებულების იერარქია

კომპანია სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- ✓ 1-ლი დონე - ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (არაკოტირებული) აქტიურ ბაზარზე;
- ✓ მე-2 დონე - პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი;
- ✓ მე-3 დონე - არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს დაკვირვებად (საბაზრო) მონაცემებს და არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არასაბაზრო კორექტირებები ან დაშვებები საჭირო ან ინსტრუმენტებს შორის განსხვავების ასახვისათვის.

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომელიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით

წინამდებარე ცხრილში მოცემულია კომპანიის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:				
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვ. საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვ. არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2018 წელი					
აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	-	25 876	-	25 876	25 876
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	1 595 453	1 595 453	1 595 453
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	836 831	-	836 831	836 831

	სამართლიანი ღირებულების შეფასება:				
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვ. საბაზრო მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვ. არასაბაზრო მონაცემები (მე-3 დონე)	სულ	საბალანსო ღირებულება
31 დეკემბერი 2017 წელი					
აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	-	34 319	-	34 319	34 319
კლიენტებზე გაცემული სესხები	-	-	2 053 478	2 053 478	2 053 478
ვალდებულებები					
მიღებული სესხები	-	1 789 041	-	1 789 041	1 789 041

(ე.2) შეფასების მეთოდები და დაშვებები

ქვემოთ მოცემულია მეთოდოლოგია და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

მომხმარებელზე გაცემული სესხები

წევრებზე გაცემული სესხების და ნასესხები სახსრების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და დარჩენილი ვადის მქონე სესხების მიმდინარე განაკვეთის გამოყენებით.

21. პოტენციური ვალდებულებები

კომპანიის ბიზნეს საქმიანობა წარმოებს საქართველოში. საქართველო ანხორციელებს ეკონომიკურ რეფორმებს და საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების მიხედვით ავითარებს სამართლებრივ, საგადასახადო და სარეგულაციო ბაზას. ქართული ეკონომიკის მომავალი მდგრადობა ბევრადაა დამოკიდებული ამ რეფორმებზე და იმაზე, თუ ქვეყნის ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები რამდენად იქნება ეფექტური ეკონომიკური, ფინანსური და ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განვითარებისათვის. ჩვეულებრივ საქმიანობის ფარგლებში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიძრას. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, მისი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა, არსებული რედაქციით ნაწილობრივ ბუნდოვანია და ექვემდებარება სხვადასხვანაირ ინერპრეტაციას, შერჩევით და არათანმიმდევრულ გამოყენებას და შესაძლებელია კომპანიის ისეთი ოპერაციები და საქმიანობა დადგეს მომავალში ნებისმიერ დროს ეჭვქვეშ, რომლებიც წარსულში ეჭვქვეშ არ დამდგარა. ამის გამო კომპანიას შესაბამისი ორგანოების მიერ შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

საგადასახადო ორგანოების მიერ შემოწმებას ექვემდებარება სამი კალენდარული წელი. ზოგ შემთხვევაში საგადასახადო შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოცვას. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მოქმედ კანონმდებლობას სათანადოდ განმარტავს და რომ კომპანიას დარიცხული აქვს ყველა სათანადო გადასახადი.

საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული პირობითი მოთხოვნები

კომპანიას გაფორმებული აქვს ორი საოპერაციო იჯარის ხელშეკრულება შემდეგ ფართებზე: ქ. ზუგდიდი, მეუნარგიას ქ. #11; ქ. სენაკი, ჭავჭავაძის ქ. #111.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მომავალი ერთწლიანი გადასახდელი საიჯარო ქირა ჯამში შეადგენს 31150 ლარს.

22. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ბასს 24-ის „დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“ მიხედვით მხარეები ითვლება დაკავშირებულად, თუ: პირდაპირ ან არაპირდაპირ აკონტროლებენ, კონტროლდებიან, ან ერთობლივი კონტროლის ქვეშ არიან ორგანიზაციასთან, მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე, ან ფლობენ საერთო კონტროლს მასზე; არიან ძირითადი მმართველი პერსონალი ან მათი ოჯახის წევრები; წარმოადგენენ ზემოთ ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს; ან პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია ხმის უფლება ასეთ საწარმოში ან მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მასზე. თითოეული შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის დადებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებითა და თანხებით, როგორითაც დაიდებოდა გარიგებები დაუკავშირებელ მხარეებს შორის.

შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

(ქართულ ლარში)

კომპანიის მართვის უმაღლესი ორგანოა პარტნიორთა საერთო კრება.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება, რომლებიც შესულია პერსონალის ხარჯში (შენიშვნა 18). ასევე დაკავშირებული მხარეებთან განხორციელებული სხვა ოპერაციები, რომლებმაც მიიღო მონაწილეობა გაცემული სესხებში - (შენიშვნა 7), მიღებულ სესხებში - (შენიშვნა 12) და საპროცენტო შემოსავალსა და საპროცენტო ხარჯში - (შენიშვნა - 14).

	2018	2017
დარიცხული ხელფასები	110 929	106 420

2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან გარიგების მიმდინარე ნაშთები და შემოსავალი და ხარჯი შემდეგია:

	2018	2017
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება		
აქტივები		
გაცემული სესხები	3 215	4 985
ვალდებულებები		
მიღებული სესხები	(515 855)	(1 444 000)
სრული შემოსავლების ანგარიშგება		
საპროცენტო შემოსავალი	1 871	1 270
საპროცენტო ხარჯი	(69 124)	(74 717)

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2017 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა კანონს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შესახებ. კანონის მიხედვით ცვლილება შეეხო მიკროსაფინანსო ორგანიზაციის საზედამხედველო კაპიტალს, რომელიც არ უნდა იყოს 1,000,000 ლარზე ნაკლები (ცვლილებამდე შეზღუდვა იყო 250,000 ლარი). უკვე არსებული მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისათვის საზედამხედველო კაპიტალი უნდა შეივსოს 2019 წლის 1 ივლისამდე, შემდეგი სქემით:

- 2018 წლის 1 სექტემბრისთვის არა ნაკლებ 500,000 ლარისა;
- 2019 წლის 1 ივლისისათვის არა ნაკლებ 1,000,000 ლარისა.

კომპანიამ, სებ-ში გაგზავნილი ივნისის ყოველთვიური ანგარიშგების შედეგების მიხედვით, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა 2019 წლის 1 ივლისისათვის ვერ დააკმაყოფილა.

ასევე კომპანია ვერ აკმაყოფილებს საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება 143/04-ის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად დადგენილ ლიკვიდობის კოეფიციენტს (შენიშვნა 20).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე 2019 წლის 25 ივნისს ჩატარდა პარტნიორის გამგეობის სხდომა და ოქმი #19-01-ის მიხედვით მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომპანიის სტატუსის შეცვლის და მისი როგორც სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ.

გამგეობის სხდომის ოქმის საფუძველზე 2019 წლის 28 ივნისს წერილი გაგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს სტატუსის ცვლილების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხი არ ახდენს გავლენას კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

24. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია შპს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედიტ სერვისის“ სამეთვალყურეო საბჭოს მიერ 2019 წლის 8 აგვისტოს.

მმართველობის ანგარიშება


საქმიანობის განვითარება, შედეგები და მდგომარეობა

შპს მისო "კრედიტ სერვისი" წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, ქ. ზუგდიდში, მისამართზე: იონა მეუნარგიას ქ. #11.

კომპანიის მიზანია ხელი შეუწყოს და განავითაროს მცირე და საშუალო ბიზნესი საქართველოში, გააუმჯობესოს კლიენტების სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა ხელმისაწვდომი ფინანსური მომსახურების შეთავაზების გზით. კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის მიკრო სესხების გაცემა.

კომპანიის საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში. შესაბამისად, კომპანია დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენს განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხვადასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

კომპანიაში ირიცხება 15 თანამშრომელი (მათ შორის 4 ქალი). სასესხო ოფიცრების რაოდენობა – 7, ხოლო შიდა სტრუქტურული სურათი წარმოდგენილია შემდეგი დიაგრამის სახით:



კომპანია აღჭურვილია სათანადო მატერიალური და არამატერიალური აქტივებით, რაც მის თანამშრომლებს უქმნის ნორმალურ პირობებს, რათა მომხმარებლებს მიაწოდონ მაღალი სტანდარტის მომსახურება.



გაცემული სესხების აღრიცხვისთვის კომპანია სარგებლობს ახალი პროგრამით, რომელიც შეიძინა 2017 წლის ბოლოს. პროგრამა გაცილებით მძლავრია ძველთან შედარებით და პასუხობს მონაცემთა დამუშავების თანამედროვე მოთხოვნებს.

კომპანია ასევე დიდ ყურადღებას უთმობს მომხმარებელთა უფლებების დაცვას საქართველოს კანონმდებლობითა და საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

მომხმარებლები არიან რეგიონის მოსახლეობის თვითდასაქმებული სეგმენტის წარმომადგენლები, რომელთაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საბანკო მომსახურებაზე.

კომპანიის ფინანსური პროდუქტებია: ინდივიდუალური ბიზნეს სესხები (ვაჭრობა, მომსახურება, ტრანსპორტი, წარმოება და ა. შ.), აგრო სესხები, სამომხმარებლო სესხები და სხვა.

ქვემოთ წარმოდგენილია კომპანიის მთლიანი პორტფელი 2018 და 2017 წლების 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის შესაბამისად.



კომპანიამ 2018 საანგარიშგებო წელი დაასრულა ზარალით, ხოლო შესადარისი 2017 საანგარიშგებო წელი - მცირე მოგებით. არსებული ტენდენცია მოგების კლების ძირითადად გამოწვეულია ქვეყანაში შექმნილი მძიმე სოციალური და ეკონომიკური ვითარებით, რაც გამოიხატება მოსახლეობის უმუშევრობის დონისა და ქვეყნიდან მოსახლეობის მიგრაციის მაღალი მაჩვენებლებით (ეს ფაქტორები პირდაპირ აისახებიან კომპანიის მომხმარებელთა გადახდისუნარიანობის ხარისხზე).

2018 წლის საპროცენტო შემოსავალი წინა წელთან შედარებით შემცირებულია 22%, ხოლო 2017 წელს წინა წელთან შედარებით იყო 4%-იანი ზრდა. ასევე უმნიშვნელოდ 3%-ით შემცირებულია საპროცენტო ხარჯი, 2017 წლის ანალოგიური მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით 10%-ით იყო გაზრდილი. 2018 წლის ყველა სხვა შემოსავლები წინა წელთან შედარებით შემცირებულია. უმნიშვნელოდ მაგრამ შემცირებულია ყველა სხვა ხარჯიც.

ორგანიზაციის კაპიტალის მართვის მიზანია უზრუნველყოს საწარმოს ფუნქციონირება ეროვნული ბანკისა და პარტნიორის მიერ დადგენილი მოთხოვნების დაცვა და პარტნიორის მიზანშეწონილი სარგებლის გამოუმუშავება.

ორგანიზაცია კაპიტალის სტრუქტურას მართავს ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და რისკების გათვალისწინებით.

2018 წელს კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილებით საწესდებო კაპიტალი გაიზარდა 699,000 ლარით. ასევე გაიზარდა საერთო რეზერვი 200,000 ლარით, რომელიც წლის ბოლოსათვის შემცირდა წინასწარ გაცემული დივიდენდის თანხით 86,962 ლარით და საბოლოო საერთო რეზერვმა შეადგინა 113,038 ლარი.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება 143/04-ის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება დადგენილი ნორმატივების და ლიმიტების დაკმაყოფილება. ერთ-ერთი ასეთი არის კაპიტალის კოეფიციენტი, რომელიც კომპანიამ უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობით: 16% 2018 წლის 31 დეკემბრამდე და 18% 2019 წლის 30 ივნისამდე.

სებ-ის მიერ დადგენილი კაპიტალის კოეფიციენტი (16%) კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის დააკმაყოფილა და შეადგინა 50,18%.

კომპანიამ, სებ-ში გაგზავნილი ივნისის ყოველთვიური ანგარიშგების შედეგების მიხედვით, ზემოთ აღნიშნული მოთხოვნა 2019 წლის 1 ივლისისათვის ვერ დააკმაყოფილა.

კომპანიას საფინანსო სექტორში საქმიანობის საკმაო გამოცდილება (10 წელი) გააჩნია, რაც საშუალებას აძლევდა მას ყოფილიყო ღირსეული კონკურენტი ბაზარზე. თუმცა მოგების კლების ტენდენციამ და 2018 წელს მიღებულმა ზარალმა, ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის მოთხოვნების შესრულების აუცილობლობამ, კომპანიის ხელმძღვანელობას მიაღებინა გადაწყვეტილება მიემართა საქართველოს ეროვნული ბანკისათვის კომპანიის სტატუსის შეცვლასთან დაკავშირებით. 2019 წლის 25 ივნისს ჩატარდა პარტნიორის გამგეობის სხდომა და მიღებული გადაწყვეტილების მიხედვით 2019 წლის 28 ივნისს წერილი გაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს რათა კომპანია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის (მისო) სტატუსიდან გადავიდეს სესხის გამცემ სუბიექტის (სგს) სტატუსზე.

ძირითადი რისკები

ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული რისკების მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კომპანიის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებას, ანალიზსა და მართვას, სათანადო რისკების ლიმიტების დაწესების, საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისა და რისკების დონისა და ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის გზით.

კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია შემდეგ ფინანსურ რისკებთან:

- ✓ საკრედიტო რისკი;
- ✓ ლიკვიდურობის რისკი;
- ✓ საბაზრო რისკი:
 - საპროცენტო განაკვეთის რისკი;
 - სავალუტო რისკი.

ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები, საიდანაც ორგანიზაციას შეიძლება წარმოექმნას რისკები არის შემდეგი:

	2018	2017
ფული და ფულადი ეკვივალენტები	25 876	34 319
გაცემული სესხები	1 595 453	2 053 478
სხვა აქტივები	16 223	23 820
მიღებული სესხები	836 831	1 789 041

კომპანიის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია რისკების მართვის სტრუქტურისა და ძირითადი რისკების მართვის ზედამხედველობაზე, რისკების მართვის პოლიტიკისა და პროცედურების განახლებაზე და კომპანიაზე არსებითი გავლენის მქონე რისკების დამტკიცებაზე.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მსესხებლის ან სხვა კონტრაგენტის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს კომპანიის ფინანსურ ზარალს.

რამდენადაც კომპანიის ძირითადი საქმიანობა არის კლიენტებზე საბლანკო სესხების გაცემა, ამდენად საკრედიტო რისკი დიდ როლს თამაშობს ორგანიზაციის რისკების მართვაში.

კომპანიას შემუშავებული აქვს საკრედიტო რისკების მართვის პოლიტიკა.

საკრედიტო პოლიტიკა განსაზღვრავს:

- ✓ სესხის გაცემის უფლებამოსილებასა და პასუხისმგებლობებს;
- ✓ სასესხო განაცხადის განხილვისა და დამტკიცების პროცედურებს;
- ✓ სესხის პირობებს;
- ✓ საკრედიტო დუკუმენტაციის მოთხოვნებს;
- ✓ სესხის მონიტორინგს.

სესხი იცემა, რესურსების არსებობის შემთხვევაში მხოლოდ იმ პირზე, რომელიც დააკმაყოფილებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული გადახდისუნარიანობის კრიტერიუმს, რიგითობის მიხედვით.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო სესხის დამტკიცების უფლებას გადაცემს საკრედიტო კომიტეტს, განსაკუთრებულ შემთხვევაში სესხის გაცემის საკითხი განიხილება სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაზე.

აღმასრულებელ დირექტორს ევალება სესხის მონიტორინგის ზედამხედველობა.

მონიტორინგის საფუძველზე კლიენტის გადახდისუნარიანობის კონტროლი საშუალებას იძლევა, დროულად იქნეს თავიდან აცილებული ფინანსური ზარალის მიღების რისკი. მონიტორინგს ახორციელებს საკრედიტო განყოფილება მის შედეგებს წარუდგენენ ხელმძღვანელობას. მონიტორინგის სისტემა ხელს უწყობს საკრედიტო რისკის დროულად განეიტრალებას.

მაქსიმალური საკრედიტო რისკი ჩვეულებრივ აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებაში.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ კრედიტ რისკს. საკრედიტო რისკის მატარებელი ფინანსური აქტივები წარმოდგენილია ქვემოთ:

	2018	2017
ფული და ფულადი ეკვივალენტები	25 876	34 319
გაცემული სესხები	1 595 453	2 053 478
სხვა აქტივები	16 223	23 20

ცვლილება ფინანსური აქტივების გაუფასურების შეფასებაში

ფასს 9-ის მიღებამ ფუნდამენტურად შეცვალა კომპანიის მიდგომები გაცემული სესხების გაუფასურების ანარიცხებთან დაკავშირებით. ფასს 9 „ფინანსური ინსტრუმენტები“ მოითხოვს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL)-ის დაანგარიშებას კომპანიის მფლობელობაში არსებული ყველა ფინანსური აქტივისათვის, რომელიც აღრიცხულია, როგორც ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ან რეალური ღირებულებით შეფასებული სხვა სრულ შემოსავალში ასახვით.

გაუფასურების ანარიცხები ეფუძნება (ECL)-ს, რომელიც გაანგარიშებულია 12 თვის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე დაყრდნობით, თუ არ შეიმჩნევა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა ან გაუფასურების სხვა ნიშნები რეზერვების შექმნის თარიღიდან, რა შემთხვევაშიც მოსალოდნელი საკრედიტო რეზერვის ზარალი დაეყრდნობა აქტივის არსებობის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს. 12 თვიანი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, კერძოდ ფინანსური ინსტრუმენტის დეფოლტის შემთხვევების შედეგად მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც შესაძლოა დადგეს საანგარიშო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, შესაბამისი ფინანსური აქტივების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის მიხედვით 2018 წლის პირველი იანვრიდან თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს შეფასდება, თავდაპირველი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც გაითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში შესაბამისად კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 ეტაპებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად:

პირელი ეტაპი:

სესხების თავდაპირველი აღიარებისას ორგანიზაცია ქმნის რეზერვს თორმეტი თვის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოხედვით.

მეორე ეტაპი:

როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე ეტაპის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე ეტაპიდან.

მესამე ეტაპი:

სესხები, რომელიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული

შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია თავდაპირველი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის

ადიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება და შემცირება ხდება მხოლოდ აქტივის არესებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მომხდარი ცვლილებებს შესაბამისად. ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად რისკის მართვის პროცესში, საკრედიტო რისკის გამოვლენის დადგენა რთული პროცესია, რომელიც გარკვეულ მოდულების გამოყენებას გულისხმობს.

კომპანია ფასს 9-ის მოთხოვნებით საკრედიტო ზარალის (ECL) გასაზომად შემდეგ მოდულებს იყენებს.

- ✓ დეფოლტის ალბათობა (PD)
- ✓ დეფოლტით გამოწვეული დანაკარგი (LGD)
- ✓ დეფოლტის რისკი პიზიცი (EAD)

აღნიშნული პარამეტრები შეფასებულია შიდა სტატისტიკური და ისტორიული მონაცემების გამოყენებით და გამიზნულია სამომავლო პროგნოზის ასახვისათვის.

PD დეფოლტის ალბათობა

დეფოლტის ალბათობა არის გარკვეულ დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში თუ სესხი ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.

EAD დეფოლტის მომენტისათვის დაუფარავი დავალიანება

დეფოლტის მომენტისათვის დაუფარავი დავალიანება არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისათვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაცაა ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა.

LGD დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კომპანია მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგი ECL შეფასება

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგებს აფასებს ინდივიდუალურად ან ჯგუფურად. ECL ფასდება ინდივიდუალურად ისეთი სესხების მიმართ, რომელმაც განიცადა გაუფასურების ზარალის გამოწვევი მოვლენა, ასეთი მსესხებლებისათვის ანალიზდება სხვადასხვა იმფორმაცია; ფინასური რისკები, ვადაგადაცილების სტატუსი, რესტრუქტურისაცა, უზრუნველყოფის რეალური ღირებულება.

ინდივიდუალურად შეფასებული სესხებისათვის ფასდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული, კომპანიის მიერ მისაღები ფულადი ნაკადებისა და მოსალოდნელი ფულადი ნაკადების სხვაობის მიმდინარე ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ECL-ის შეფასება ჯგუფურად

სესხების ჯგუფურად შეფასებისათვის, კომპანიამ პორტფელი, რომელიც შედგება ერთი სეგმენტისგან - არაუზრუნველყოფილი სესხები, დაყო 4 კატეგორიად და (ECL)-ის შეფასებას ახდენს, მსგავსი საკრედიტო რისკის მატარებელ 4 ჯგუფად რომელიც ასახულია ქვემოთ მოტანილ ცხრილში:

საკრედიტო პორტფელის სეგმენტი	საკრედიტო რისკის კატეგორია	ვადაგაცილების დღეები	რესტრუქტ. სესხი	ჯგუფი	ეტაპი
არაუზრუნველყოფილი სესხი	1. სტანდარტული	0-30	არა	C.1	I
	2. არასტანდარტ.	30-90	არა	C.2	II
	3. საეჭვო	90-120	დიახ	C.3	III
	4. უიმედო	>120-ზე	არა	C.4	III

დეფოლტის განსაზღვრა

კომპანია დეფოლტს აღიარებს შემდეგ შემთხვევაში:

- ✓ მსესხებლის გარდაცვალება;
- ✓ გარე ფაქტორები, რომელიც არ ექვემდებარება კონტროლს და რომლის გამოც კლიენტი გადახდის უუნარო ხდება;

- ✓ 90 დღეზე ვადა გადაცილებული სესხები;
- ✓ აქტივების კატეგორია, რომლებიც ორგანიზაციის საკრედიტო პოლიტიკასა და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით არის „საეჭვო“ და „უიმედო“ სესხები.

დეფოლტის განსაზღვრა შესაბამისობაშია ფასს 9-ის რეგულაციების მიხედვით 90 დღიანი ვადაგადაცილების პრეზუმციასთან.

საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად, საგრძნობლად გაიზარდა თუ არა ფინანსურ ისტრუმენტებზე საკრედიტო რისკი თავდაპირველი აღიარების შემდეგ კომპანია მხედველობაში იღებს სათანადო და არგუმენტირებულ ხარისხობრივ და რაოდენობრივ იმფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე. ეს დფუძნებულია წარსულ გამოცდილებაზე და მომავლის პროგნოზისათვის საჭირო იმფორმაციაზე. რომელიც ხელმისაწვდომია მიზანშეწონილი ძალისხმევისა და ხარჯების გარეშე.

როდესაც აქტივზე ვადაგადაცილება 30 დღეზე მეტია, კომპანია მიიჩნევს, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად გაიზარდა და აქტივი ხდება გაუფასურების მოდელის მე-2 ეტაპზე ანუ დანაკარგის რეზერვი იქმნება მთელი არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით.

ასევე აქტივების კატეგორია, რომელიც კომპანიის საკრედიტო პოლიტიკის და საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციის მიხედვით არის „საყურადღებო სესხი“ მიიჩნევა რისკის მნიშვნელოვან ზრდად. რესტრუქტურიზირებული სესხები, რომელთა მოდიფიკაცია არ არის დაკავშირებული მატერიალურ ზარალთან ჩაითვლება რისკის მნიშვნელოვან ზრდად და მიეკუთვნება მე -2-ე ეტაპს.

დეფოლტის აღბათობის კოეფიციენტის PD განსაზღვრა

თითოეული ჯგუფისათვის დეფოლტის აღბათობის კოეფიციენტის გასნსაზღვრად კომანია იყენებს ისტორიულ მონაცემებსა და გადაუხდელობის მონაცემებზე დაყრდნობით დეფოლტის სტატისტიკურ ანალიზს.

ამ მიდგომით ხდება თითოეული ჯგუფის 12 თვიანი დეფოლტის აღბათობის გამოთვლა, რომლის გათვალისწინებით გამოითვლება არსებობის მანძილზე დეფოლტის აღბათობა პორტფელის ვადის ამოწურვამდე. სესხს რომელმაც განიცადა დეფოლტი, უპირობოდ განესაზღვრება 100%-ანი აღბათობა.

დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში (LGD) განსაზღვრა

გაუფასურების მოდელის კიდევ ერთი კომპონენტია (LGD). ის გამოიყენება მოსალოდნელი დანაკარგის მოცულობის განსაზღვრისათვის რომელიც შეიძლება წარმოიშვას დეფოლტის შემთხვევაში. ამ მაჩვენებლის გამოსათვლელად კომპანია იყენებს ბოლო სამი წლის განმავლობაში გადეფოლტებული სესხების მაჩვენებელს და ამ სესხებზე დეფოლტის მომენტიდან საანგარიშგებო პერიოდამდე განხორციელებული თანხების შემოდიანებებს ყოველ წლიურ ჭრილში. ფულადი ნაკადები დისკონტირდება სეგმენტის საშუალო შეწონილი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. დეფოლტის შემთხვევაში ზარალის დაანგარიშება ხდება ცალ-ცალკე თითოეული სეგმენტისათვის.

დეფოლტის რისკის პოზიციის (EAD) განსაზღვრა

(EAD) წარმოადგენს პოტენციური დეფოლტის მომენტში ფინანსური აქტივის არსებობის მანძილზე საკრედიტო რისკის ზეგავლენის შეფასებას. ეს წარმოადგენს ეფექტური საპროცენტი განაკვეთით დისკონტირებულ ფულად ნაკადს დეფოლტის მომენტში.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიცია ყველა სეგმენტისათვის ცალ-ცალკე დაანგარიშდება, მიმდინარე სესხის თანხიდან მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით. მოსალოდნელ ცვლილებებში იგულისხმება გრაფიკით გათვალისწინებული ძირის დაფარვები ვადაგადაცილების მომენტამდე, %-ის დარიცხვები ვადაგადაცილების მომენტიდან დეფოლტამდე.

დეფოლტში მყოფი რისკის პოზიციის დათვლა ხდება სეგმენტის საშუალო საკონტაქტო ვადიანობის განმავლობაში, თითოეულ წელს ცალ-ცალკე.

საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენება

მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგების გამოთვლებში კომპანია იყენებს საპროგნოზო ინფორმაციას. ეს ინფორმაცია მოიცავს ეკონომიური ინდიკატორების პროგნოზს, რომელსაც ეროვნული ბანკი აქვეყნებს პერიოდულად. დეფოლტის აღბათობის განსაზღვრის საფუძველს ქმნის სამი ეკონომიკური სცენარი (საბაზისო, პესიმისტური, ოპტიმისტური). თითოეული მათგანი დეფოლტის განსხვავებულ აღბათობას იძლევა. ამ სცენარების შეწონვა ქმნის დეფოლტის საშუალო შეწონილი აღბათობის საფუძველს, რომელიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლაში გამოიყენება.

ფასს 9-ის „ფინანსური ინსტრუმენტები“ მიზნებისათვის საქართველოს ბანკი აქვეყნებს მაკროეკონომიკური ინდიკატორების პროგნოზებს სხვადასხვა სცენარით და მათ წონას გამოთვლებში. საბაზისო სცენარი ყველაზე სავარაუდო სცენარია და მისი წონა გამოთვლებში 50%-ია. პესიმისტური და ოპტიმისტური სცენარების წონა 25%-ია.

კომპანია დეფოლტის ალბათობის გამოთვლისათვის იყენებს საქართველოს მშპ-ის ზრდის კოეფიციენტის და ინფლაციის განაკვეთის მაკროეკონომიკურ ინდიკატორებს.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები შეიცვლება საბაზრო ფასების ცვლილებების გამო. საბაზრო რისკი მოიცავს სავალუტო რისკს, საპროცენტო განაკვეთის რისკსა და სხვა ფასების რისკებს. საბაზრო რისკი წარმოიშობა საპროცენტო განაკვეთების მატარებელი ფინანსური ინსტრუმენტების ღია პოზიციებიდან, რომლებიც რეაგირებენ ზოგად და კონკრეტულ საბაზრო ცვლილებებსა და სავალუტო კურსების რყევებზე.

საბაზრო რისკების მართვის მიზანია საბაზრო რისკების კომპანიაზე გავლენის მართვა და კონტროლი მისაღები პარამეტრების ფარგლებში, რისკზე ამონაგების ოპტიმიზაციის ფონზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გამო. კომპანიაზე მოქმედებს ფინანსური პოზიციისა და ფულადი ნაკადების ცვლილებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთების ცვლილებების შედეგად. საპროცენტო მარჟა შესაძლოა გაიზარდოს ამგვარი ცვლილებების შედეგად, თუმცა შესაძლოა შემცირდეს კიდევ ან განაპირობოს ზარალი, თუ ადგილი ექნება მოულოდნელ რყევებს.

კომპანია პროცენტის დარიცხვას აჩერებს იმ გაცემულ სესხებზე, რომელთა ამოღება გართულებული იყო და სასამართლოს მიერ სათანადო გადაწყვეტილება მიღებული. არსებული სოციალურ-ეკონომიკური გარემოების გათვალისწინებით, კომპანია უკიდურეს შემთხვევებში მიმართავს სააღსრულებო ბიუროს, კუთვნილი თანხების იძულებით დასაბრუნებლად.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფულადი ნაკადები განიცდის ცვლილებას სავალუტო გაცვლითი კურსის გამო.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია სიძნელეებს წააწყდება ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულებისას, რომლებიც დაკავშირებულია ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის გადაცემასთან. ლიკვიდურობის რისკი წარმოიქმნება მაშინ, როდესაც აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობა განსხვავებულია. აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობისა და საპროცენტო განაკვეთების შესაბამისობა და/ან მათი კონტროლირებადი შეუსაბამობა წარმოადგენს ლიკვიდურობის მართვის ქვაკუთხედს. სრული შესაბამისობის მიღწევა ფინანსურ ინსტიტუტში იშვიათია, რამდენადაც ბიზნესი ხშირად გაურკვეველ დროს ვითარდება და თანაც სხვადასხვა ტიპისაა.

კომპანია მართავს ლიკვიდურობას, უზრუნველყოფს რა ხელმისაწვდომ თანხებს ნებისმიერ დროს ვადადამდგარი, ნაღდ ფულთან დაკავშირებული ვალდებულებების ჯეროვანი შესრულების მიზნით.

კომპანია ცდილობს შეინარჩუნოს დივერსიფიცირებული და სტაბილური დაფინანსება, რომელიც მოიცავს გრძელვადიან და მოკლევადიან სესხებს ბანკებისა და სხვა პირებისაგან, რათა შეძლოს სწრაფად და შეუფერხებლად უპასუხოს გაუთვალისწინებელ ლიკვიდურობის მოთხოვნებს. ლიკვიდურობის მართვის პოლიტიკა ითვალისწინებს:

- ✓ მოსალოდნელი ფულადი ნაკადების განსაზღვრას ძირითადი ვალუტების მიხედვით და ლიკვიდური აქტივების დონის გათვალისწინებით, რომელიც აუცილებელი იქნება ამ კუთხით;
- ✓ დაფინანსების დივერსიფიცირებული წყაროების შენარჩუნებას;
- ✓ ვალდებულებების კონცენტრაციისა და პროფილის მართვას;
- ✓ ვალდებულებების დაფინანსების გეგმის უზრუნველყოფას;
- ✓ ლიკვიდურობისა და დაფინანსების გეგმების უზრუნველყოფას გაუთვალისწინებელი გარემოებების შემთხვევაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება 143/04-ის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება დადგენილი ნორმატივების და ლიმიტების დაკმაყოფილება. ერთ-ერთი ასეთი არის ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც კომპანიამ უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობით: 16% 2018 წლის 31 დეკემბრამდე და 18% 2019 წლის 30 ივნისამდე.

სებ-ის მიერ დადგენილი ლიკვიდობის კოეფიციენტი (16%) კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის ვერ დააკმაყოფილა და შეადგინა 3.6%.

ზემოთ აღნიშნული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციებიდან გამომდინარე 2019 წლის 25 ივნისს ჩატარდა პარტნიორის გამგეობის სხდომა და ოქმი #19-01-ის მიხედვით მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომპანიის სტატუსის შეცვლის და მისი როგორც სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ.

გამგეობის სხდომის ოქმის საფუძველზე 2019 წლის 28 ივნისს წერილი გაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს სტატუსის ცვლილების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხი არ ახდენს გავლენას კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

შპს მისო „კრედიტ სერვისის“

დირექტორი:

კ. დარსანია

საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციები

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 ივლისის ბრძანება 143/04-ის „მიკროსაფინანსო ორგანიზაციების საქმიანობის ზედამხედველობისა და რეგულირების წესის“ შესაბამისად კომპანიას მოეთხოვება დადგენილი ნორმატივების და ლიმიტების დაკმაყოფილება. ერთ-ერთი ასეთი არის ლიკვიდობის კოეფიციენტი, რომელიც კომპანიამ უნდა დაიცვას შემდეგი თანმიმდევრობით: 16% 2018 წლის 31 დეკემბრამდე და 18% 2019 წლის 30 ივნისამდე.

სებ-ის მიერ დადგენილი ლიკვიდობის კოეფიციენტი (16%) კომპანიამ 2018 წლის 31 დეკემბრისათვის ვერ დააკმაყოფილა და შეადგინა 3.6%.


ზემოთ აღნიშნული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) რეგულაციებიდან გამომდინარე 2019 წლის 25 ივნისს ჩატარდა პარტნიორის გამგეობის სხდომა და ოქმი #19-01-ის მიხედვით მიღებული იქნა გადაწყვეტილება კომპანიის სტატუსის შეცვლის და მისი როგორც სესხის გამცემი სუბიექტის რეგისტრაციის შესახებ.

გამგეობის სხდომის ოქმის საფუძველზე 2019 წლის 28 ივნისს წერილი გაეგზავნა საქართველოს ეროვნულ ბანკს სტატუსის ცვლილების მოთხოვნასთან დაკავშირებით.

აღნიშნული საკითხი არ ახდენს გავლენას კომპანიის ფუნქციონირებადობაზე.

შპს მისო „კრედიტ სერვისის“

დირექტორი:



კ. დარსანია

